

## 1. საწყისი ნაწილი

### 1.1 თავფურცელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი  
კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა

### ნინო ტურაშვილი

„ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი და ვიტამინი D”

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი- პროფესორი ელენე გიორგაძე  
თანახელმძღვანელი- პროფესორი ლალი ჯავაშვილი

თბილისი

2022 წ

## 1.2 აბსტრაქტი

თანამედროვე მედიცინაში D ვიტამინის მიმართ მზარდი ინტერესია. იგი თავდაპირველად იდენტიფიცირებულ იქნა როგორც ვიტამინი, თუმცა რეალურად მიეკუთვნება პროპორმონს. D ვიტამინის ძირითადი წყაროა კანში მისი წარმოქმნა მზის ულტრაიისფერი B სხივების ზემოქმედებით. მცირე რაოდენობით D ვიტამინის მიღება შესაძლებელია საკვებითაც. კანში წარმოქმნილი ან საკვებით მიღებული D ვიტამინი არააქტიურია და საჭიროებს ჰიდროქსილირებას ჯერ ღვიძლში, შემდეგ კი თირკმელში. აქტივირებული D ვიტამინი - კალციტრიოლი თავისი ეფექტების განსახორციელებლად უკავშირდება D ვიტამინის რეცეპტორებს, რომლებიც მდებარეობს თითქმის ყველა ქსოვილში. შესაბამისად, D ვიტამინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ყველა ორგანოთა სისტემასა და უჯრედზე. კვლევების მიხედვით, D ვიტამინის დეფიციტს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს არამხოლოდ ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების, არამედ მრავალი სხვა პათოლოგიის განვითარებაზე, როგორიცაა, მაგალითად, აუტოიმუნური დაავადებები. აქტივირებული D ვიტამინი არეგულირებს T ლიმფოციტებს: აინჰიბირებს Th1 უჯრედებს, თრგუნავს მათ მიერ ციტოკინების პროდუქციას და ზრდის Th2-ის მიერ სინთეზირებული ციტოკინების რაოდენობას. D ვიტამინი ხელს უწყობს დენდრიტული უჯრედების აპოპტოზს, რითაც ხელს უშლის აუტოიმუნური დაავადებების განვითარებას.

ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი (ჰაშიმოტოს თირეოიდიტი) ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენდოკრინული პათოლოგიაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისხლში თირეოპეროქსიდაზას და/ან თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულების მატება და ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის ლიმფოციტური ინფილტრაცია. ყოველივე აღნიშნული ხშირად ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის თანდათანობით დაქვეითებას და მის სტრუქტურულ ცვლილებებს. ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს მომატებულია Th1 უჯრედების მიერ წარმოებული ციტოკინების დონე.

ზოგიერთი კვლევა მიუთითებს ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში D ვიტამინის დეფიციტის ან მისი უკმარისობის მაღალ სიხშირეზე ჯანმრთელ

საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, თუმცა სხვადასხვა კვლევის შედეგი ურთიერთსაწინააღმდეგოა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა D ვიტამინის დონის შედარება აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტებსა და ჯანმრთელ პირებში: კერძოდ, სისხლში თირეოტროპული ჰორმონის დონესა (TSH) და D ვიტამინს, თავისუფალი თიროქსინის დონესა (FT4) და D ვიტამინს, თირეოპეროქსიდაზას საწინააღმდეგო ანტისხეულებსა (anti-TPO) და D ვიტამინს, თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულების დონესა (anti-TG) და D ვიტამინს, ასევე ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურულ ცვლილებებსა და D ვიტამინის დონეს შორის შესაძლო კავშირის დადგენა. რეტროსპექტულ კვლევაში პაციენტების ისტორიების საფუძველზე შეირჩა და გაანალიზდა 1295 პაციენტის მონაცემები: ყველა პაციენტს ჩატარებული ჰქონდა TSH -ის და D ვიტამინის ანალიზი. 1295 მონაწილედან, 866-ს ჰქონდა FT4-ის ანალიზი, 1263 შემთხვევაში განსაზღვრული იყო anti-TPO, 295 პაციენტში -anti- TG-ის ანალიზი. 262 პაციენტს ჩატარებული ჰქონდა ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა. მათგან 85 პაციენტს დადგენილი ჰქონდა კვანძოვანი/მრავალკვანძოვანი ჩიყვი. სტატისტიკური ანალიზისთვის საკვლევი პოპულაციის მონაცემები გაანალიზდა როგორც მთლიანად საკვლევ ჯგუფში, ასევე სქესის მიხედვით, ხოლო მდედრობითი სქესის პაციენტების შემთხვევაში, ასაკობრივი ქვეჯგუფების მიხედვითაც (45 წლის ჩათვლით და მის ზემოთ). მონაცემთა დამუშავება მოხდა სტატისტიკური პროგრამა SPSS 20-ის საშუალებით.

მიღებული შედეგებით გამოვლინდა TSH-სა და D ვიტამინის დონეს შორის, ისევე როგორც Anti-TPO-სა და D ვიტამინს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი ასოციაცია ქალების მთლიან ჯგუფსა და 45 წლამდე ასაკობრივ ქვეჯგუფში; Anti-TG-სა და D ვიტამინს შორის უარყოფითი ასოციაცია გამოვლინდა მდედრობითი სქესის მთლიან ჯგუფში. ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმის არაერთგვაროვნებასა და D ვიტამინის დონეს შორის სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი ასოციაცია აღინიშნა ქალების მთლიან ჯგუფში. მამაკაცებში არ გამოვლინდა კავშირი TSH, anti-TPO, anti-TG-ს, ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურულ ცვლილებასა და D ვიტამინის დონეს შორის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა სისხლში FT4-ის დონესა და D ვიტამინს შორის.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის და პირველადი ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებს, უპირატესად 45 წლამდე ასაკის ქალებს, მეტად აღენიშნებოდათ D ვიტამინის დაბალი დონე ჯანმრთელ პირებთან შედარებით. D ვიტამინის დეფიციტი შესაძლოა ხელს უწყობდეს ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის და შემდგომში პირველადი ჰიპოთირეოზის განვითარებას, უპირატესად ქალებში.

## **Abstract**

There is a growing interest about vitamin D in modern medicine. It was first identified as a vitamin, but actually it belongs to the prohormone. The main source of vitamin D is its formation in the skin upon ultraviolet B radiation exposure. Small amounts of vitamin D can also be obtained from food. Vitamin D produced in the skin or obtained from food is inactive and requires hydroxylation reactions first in the liver and then in the kidney. Activated vitamin D - calcitriol mediates its effects by binding to the vitamin D receptor. These receptors are expressed in nearly all tissues of the body. Therefore, vitamin D has important influence on almost all organs and cells. According to some studies, vitamin D deficiency has an important influence not only on musculoskeletal system's disease, but also on the development of many other pathologies, such as autoimmune diseases. Activated vitamin D regulates T lymphocytes: It inhibits Th1 cells and their cytokine production, increases the cytokines synthesized by Th2. Vitamin D promotes apoptosis of dendritic cells, thereby arrest the development of autoimmune diseases.

Chronic autoimmune thyroiditis (Hashimoto's thyroiditis-HT)- one of the most common endocrine pathologies, characterized by increased levels of antithyroid peroxidase and/or antithyroglobulin antibodies in serum, lymphocytic infiltration of the thyroid, which often leads to thyroid dysfunction and structural changes of the gland. In case of chronic autoimmune thyroiditis, the level of cytokines produced by Th1 cells is increased.

Some studies indicate a high frequency of vitamin D deficiency or insufficiency in patients with HT compared to a healthy control group, but the results of different studies are conflicting.

The aim of our research was to compare the level of vitamin D between the patients with HT and the healthy subjects and to determine the association between thyroidstimulating hormone (TSH), free thyroxine (FT4), anti- TPO, anti-TG, and vitamin D, as well as structural changes in the thyroid gland and vitamin D. In the retrospective study data from 1295 patients were selected and analyzed based on patient histories: All patients had vitamin D and TSH measurement. From total 1295 participants, 866 subjects had FT4 data, 1263 had anti-TPO

data, 295 had anti-TG data, 262 patients underwent ultrasound examination of the thyroid gland. 85 of them had nodular / multinodular goiter.

For statistical analysis, the study population data was analyzed both in the study group as well as according to gender and age subgroups for women only ( $\leq 45$  y. and  $>45$  y.). The statistical processing of data was performed through the Statistical Package for the Social Sciences (SPSS) version 20 program.

According to our study results, a statistically significant negative association was observed between TSH and vitamin D levels, as well as between Anti-TPO and vitamin D, in the total women population and age  $\leq 45$  years. A statistically significant negative association between anti-TG -vitamin D and heterogeneous parenchyma of thyroid- vitamin D, was revealed in women. There was not any association between TSH, anti-TPO, anti-TG, structural changes of the thyroid gland and vitamin D level in men. The association between FT4 and vitamin D was not detected.

The results of the study indicate that patients with chronic autoimmune thyroiditis and primary hypothyroidism, predominantly women  $\leq 45$  years, were more likely to have lower levels of vitamin D compared to healthy individuals. Vitamin D deficiency may contribute to the development of chronic autoimmune thyroiditis and primary hypothyroidism, predominantly in women.

## **1.3 სარჩევი**

### **საწყისი ნაწილი**

აბსტრაქტი (ქართულ ენაზე) .....	ii
აბსტრაქტი (ინგლისურ ენაზე).....	v
<b>სარჩევი.....</b>	<b>vii</b>
ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	viii
აბრევიატურის ჩამონათვალი.....	x
<b>ძირითადი ნაწილი</b>	
შესავალი.....	1
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
კვლევის მეთოდოლოგია.....	32
კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.....	35
დასკვნები და რეკომენდაციები.....	68
<b>დასკვნითი ნაწილი</b>	
ბიბლიოგრაფია .....	69
გამოქვეყნებული ნაშრომების სია.....	83

## **1.4 ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი**

სურათი 1: D ვიტამინის სინთეზი და აქტივაცია.....	გვ. 9
სურათი 2: კალციუმის ჰომეოსტაზის შენარჩუნება.....	გვ.11
სურათი 3: ერგოსტეროლის და 7-დეჰიდროქოლესტეროლის ფოტოლიზი ვიტამინ D2-ად (ერგოვალციფეროლი) და ვიტამინ D3-ად (ქოლევალციფეროლი)	ვიტამინ D2-ად (ერგოვალციფეროლი) და ვიტამინ D3-ად (ქოლევალციფეროლი).....
	გვ.14
ცხრილი 1: 25(OH)D-ს გაზომვის ჩვენებები (სკრინინგს დაქვემდებარებული კანდიდატები).....	გვ.32
დიაგრამა 1: პაციენტთა განაწილება სქესის მიხედვით.....	გვ.35
დიაგრამა 2: მდედრობითი სქესის პაციენტების ასაკობრივი ქვეჯგუფები.....	გვ.36
დიაგრამა 3 : TSH და D ვიტამინი.....	გვ.37
დიაგრამა 4 : TSH-ის და D ვიტამინის დონე ქალებში.....	გვ.38
დიაგრამა 5: TSH და D ვიტამინი ქალებში <=45 წ .....	გვ.39
ცხრილი 2: TSH და D ვიტამინი.....	გვ.40
ცხრილი 3: FT4 და D ვიტამინი.....	გვ.41
ცხრილი 4: anti-TPO და D ვიტამინი.....	გვ.42
დიაგრამა 6: anti-TPO და D ვიტამინი .....	გვ.43
დიაგრამა 7: anti-TPO და D ვიტამინი ქალებში.....	გვ.44
დიაგრამა 8: anti-TPO და D ვიტამინი ქალებში <=45 წ.....	გვ.45
ცხრილი 5: anti-TG და D ვიტამინი.....	გვ.46
დიაგრამა 9: anti-TG და D ვიტამინი ქალებში.....	გვ.47
ცხრილი 6: ფარისებრი ჯირკვლის ჰეტეროგენული პარენქიმა და D ვიტამინი....	გვ.48
დიაგრამა 10: ფარისებრი ჯირკვლის არაერთგვაროვანი პარენქიმა და D ვიტამინის დონე ქალებში.....	გვ.49
ცხრილი 7: ფარისებრი ჯირკვლის საერთო მოცულობა და D ვიტამინი.....	გვ.50
ცხრილი 8- ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი.....	გვ.51
დიაგრამა 11: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი .....	გვ.52

დიაგრამა 12: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი ქალებში.....	გვ.53
დიაგრამა 13: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი ქალებში <=45 წ .....	გვ.54
დიაგრამა 14: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი ქალებში >45 წ .....	გვ.55
დიაგრამა 15: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი კაცებში .....	გვ.56
ცხრილი 9- ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი.....	გვ.57
ცხრილი 10: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი ქალებში .....	გვ.57
ცხრილი 11: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი ქალებში <=45წ.....	გვ.58
ცხრილი 12: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი ქალებში >45წ.....	გვ.58
ცხრილი 13: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი კაცებში.....	გვ.59
დიაგრამა 16: D ვიტამინის დონე მთლიან ჯგუფში.....	გვ.60
დიაგრამა 17: ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებში D ვიტამინის დონე.....	გვ.61
დიაგრამა 18: ეუთირეოიდულ პირებში D ვიტამინის დონე.....	გვ.61
დიაგრამა 19: ეუთირეოზის და ჰიპოთირეოზის მქონე ქალების მთლიან ჯგუფში D ვიტამინის დონე .....	გვ.62
დიაგრამა 20: ნორმის ფარგლებში და მომატებული anti-TPO-ს მქონე პაციენტებში D ვიტამინის დონე .....	გვ.63
დიაგრამა 21: ნორმის ფარგლებში და მომატებული anti-TG-ის მქონე ქალებში D ვიტამინის დონე .....	გვ.64

## 1.5. აბრევიატურების ჩამონათვალი

ენდოთელური აზოტის ოქსიდი - eNO

ვასკულარული ენდოთელური ზრდის ფაქტორი - VEGF

ვიტამინი D-ს რეცეპტორი - VDR

თავისუფალი თიროქსინი- FT4

თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულები- anti-TG

თირეოპეროქსიდაზას საწინააღმდეგო ანტისხეულები- anti-TPO

თირეოტროპული ჰორმონი- TSH

ინტერლეიკინი- IL

ინტერფერონი- IFN

მარეგულირებელ T უჯრედები- Tregs

პარათჰორმონი - PTH

სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი- TNF

ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი 23- FGF23

ჰისტოშეთავსების მთავარი კომპლექსი- MHC

D ვიტამინ-დამაკავშრებელი პროტეინი - DBP

Th უჯრედები- დამხმარე T უჯრედები

Toll ცილის მსგავსი რეცეპტორები- Toll-like receptors- TLR

## 2. ძირითადი ნაწილი

### 2.1 შესავალი

#### საკვლევი პრობლემის აქტუალურობა

D ვიტამინი წარსულში განიხილებოდა როგორც ცხიმში ხსნადი ვიტამინი, თუმცა უკანასკნელი წლების მონაცემებით დადგინდა, რომ მას გააჩნია ასევე ჰორმონის მსგავსი აქტივობა და მიეკუთვნება პროპორმონს (88) (105). D ვიტამინი წარმოიქმნება კანში მზის ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით. მცირე რაოდენობით მისი მიღება შესაძლებელია საკვებითაც. ვიტამინი D-ს ეფექტები ხორციელდება ვიტამინი D-ს რეცეპტორთან (VDR) მისი დაკავშირებით. ეს რეცეპტორი არის უჯრედშიდა რეცეპტორი, რომელიც მიეკუთვნება სტეროიდულ/თიროიდულ ბირთვულ რეცეპტორთა ოჯახს და აღმოჩენილ იქნა არა მარტო ძვალში, არამედ თირკმელში, ნაწლავში, იმუნურ სისტემაში (T და B უჯრედებში, მაკროფაგებში, მონოციტებში), კუნთებში, ენდოკრინულ სისტემაში, ტვინში, კანში, რეპროდუქციულ ორგანოებში, ღვიძლში და ა.შ. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ D ვიტამინის ეფექტები არ შემოიფარგლება მხოლოდ ძვალ-კუნთოვან სისტემაზე ზეგავლენით და კალციუმ-ფოსფორის ცვლის რეგულირებით (13). უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილი მონაცემების განალიზებით, დიდი ყურადღება მიექცა იმუნურ სისტემაზე D ვიტამინის მნიშვნელოვან გავლენას: D ვიტამინს აქვს პოტენციური იმუნომოდულატორული ეფექტი როგორც თანდაყოლილ, ასევე შეძენილ იმუნურ სისტემაზე. აქტივირებული ვიტამინი D არეგულირებს T უჯრედების პასუხს Th1-ის პროლიფერაციის და ციტოკინების (როგორიცაა ინტერლეიკინ-2 (IL-2), ინტერფერონ  $\gamma$  (IFN- $\gamma$ ), სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი(TNF)) წარმოქმნის დათრგუნვით და გადართავს T უჯრედების პოლარიზებას Th1- დან Th2 -ად, რაც წარმოქმნის ციტოკინებს: IL-4-ს და IL-5-ს. გარდა ამისა, D ვიტამინი ხელს უწყობს დენდრიტული უჯრედების აპოპტოზს და აინტიბირებს მათ დიფერენცირებას და მომწიფებას. ვიტამინი D- ს მიერ მცირდება დენდრიტულ უჯრედებზე ჰისტოშეთავსების II მთავარი კომპლექსის (MHC II) ექსპრესია. VDR აგონისტების მიერ ინდუცირებული ტოლერანტული დენდრიტული უჯრედები აფერხებენ აუტოიმუნური დაავადებების განვითარებას (112).

ზოგიერთი კვლევის მიხედვით, D ვიტამინის აქტიურ ფორმას-  $1,25(\text{OH})_2\text{D}$ -ს (კალციტრიოლი) შეუძლია თავიდან აგვაცილოს ან დათრგუნოს სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადების განვითარება, როგორიცაა: რევმატოიდული ართრიტი, სისტემური წითელი მგლურა (6), შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 1 (50) (75) (86), აუტოიმუნური ენცეფალომიელიტი, ნაწლავის ანთებითი დაავადება (16) (54) (85). არსებობს მონაცემები ნაწლავის მიკრობიომზე D ვიტამინის გავლენის შესახებ: იმუნური სისტემა და მიკრობიომი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო D ვიტამინი შუამავლის როლს ასრულებს (126). ქოლეკალციფეროლის მიღებით და  $25(\text{OH})\text{D}3$ -ის ნორმალური დონის მიღწევით შესაძლებელია T უჯრედების და მონოციტების რეგულირება ადისონის დაავადების მქონე პაციენტებში (81). არსებობს სხვადასხვა მონაცემი D ვიტამინის დეფიციტსა და მრავლობითი სკლეროზის განვითარებას შორის შესაძლო კავშირის შესახებ (5) (65) (102). კალციტრიოლი შესაძლოა ასოცირებული იყოს რევმატოიდული ართრიტის დროს დაავადების აქტივობასთან (43).

მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი კვლევის მიხედვით, D ვიტამინის დაბალი დონე გავლენას ახდენს ფარისებრ ჯირკვალზე და ხელს უწყობს ჰაშიმოტოს თირეოიდიტის განვითარებას (57) (97) (119).

ჰაშიმოტოს თირეოიდიტი ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული აუტოიმუნური დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია გენეტიკური ფაქტორების და გარემო პირობების ურთიერთქმედებით. ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი ხასიათდება ფარისებრი ჯირკვლის ლიმფოციტური ინფილტრაციით, ფარისებრი ჯირკვლის საწინააღმდეგო ანტისხეულების დონის მატებით; პროცესი ინდუცირებულია Th1 ლიმფოციტებით და სხვადასხვა ციტოკინით (70).

ზოგიერთი კვლევა მიუთითებს ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პირებში შრატში D ვიტამინის დეფიციტის ან მისი უკმარისობის მაღალ სიხშირეზე ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კვლევის შედეგი ურთიერთსაწინააღმდეგოა (10). მრავალი კვლევის შედეგის განალიზებით არ გამოვლინდა D ვიტამინის დანამატების მიღებასა და სხვადასხვა დაავადების განვითარებას, ისევე როგორც სიკვდილიანობის შემცირებას შორის კავშირი (108) (131). ავტორთა ნაწილი თვლის, რომ არ არსებობს

კავშირი D ვიტამინის დეფიციტსა და აუტოიმუნური თირეოიდიტის განვითარებას შორის (25) (76).

D ვიტამინის დეფიციტი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუნდაც საკმარისი ულტრაიისფერი გამოსხივების მქონე დაბალი განედის ქვეყნებში. კვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოში დაახლოებით ერთ მილიარდ ადამიანს აღენიშნება D ვიტამინის დეფიციტი (40).

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები ენდოკრინულ დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული პათოლოგიაა. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2020 წლის ბოლოს თირეოიდიტის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე შეადგენდა- 66.7, პრევალენტობა- 181.0. ამავე ცენტრის მონაცემებით, 2020 წლის ბოლოს ჰიპოთირეოზის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე იყო- 336.4, პრევალენტობა - 853.0. ეს მონაცემები ხაზს უსვამს აღნიშნული პათოლოგიების ფართოდ გავრცელებას საქართველოში (47).

ამრიგად, მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, აუტოიმუნური თირეოიდიტისა და D ვიტამინის უკმარისობის/დეფიციტის ფართოდ გავრცელების გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა კვლევის ჩატარება ქრონიკულ აუტოიმუნურ თირეოიდიტსა და D ვიტამინის უკმარისობას/დეფიციტს შორის შესაძლო კავშირის დადგენის მიზნით.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობდა იმაში, რომ თირეოიდული ანტისხეულების მაღალი დონის და ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციის მქონე პაციენტებს შესაძლოა ჰქონოდათ D ვიტამინის დაბალი დონე ჯანმრთელ პირებთან შედარებით.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანს წარმოადგენდა სისხლში თირეოტროპული ჰორმონის დონესა (TSH) და D ვიტამინს, თავისუფალი თიროქსინის დონესა (FT4) და D ვიტამინს, თირეოპეროქსიდაზას საწინააღმდეგო ანტისხეულებსა (anti-TPO) და D ვიტამინს, თირეოგლობულინის საწინააღმდეგო

ანტისხეულების დონესა (anti-TG) და D ვიტამინს, ასევე ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურულ ცვლილებებსა და D ვიტამინის დონეს შორის შესაძლო კავშირის დადგენა.

### **წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა და/ან სიახლე**

კვლევის შედეგები გვაწვდის ინფორმაციას ქრონიკულ აუტოიმუნურ თირეოიდიტსა და D ვიტამინის უკმარისობას/დეფიციტს შორის შესაძლო კავშირის შესახებ.

აღნიშნული კვლევა პირველად ჩატარდა საქართველოში და გამოკვლეულ იქნა სისხლში თირეოტროპული ჰორმონის, თავისუფალი თიროქსინის, თირეოპეროქსიდაზასა და თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულების დონეს და D ვიტამინის უკმარისობას/დეფიციტს შორის კავშირი ორივე სქესის ზრდასრულ პირებში, ასევე მდედრობითი სქესის ასაკობრივ ქვეჯგუფებში.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურულ მონაცემებსა (ფარისებრი ჯირკვლის საერთო მოცულობა, პარენქიმის არაერთგვაროვნება, კვანძების რაოდენობა, დომინანტური კვანძის ზომა) და D ვიტამინის უკმარისობას/დეფიციტს შორის კავშირი ორივე სქესის ზრდასრულ პირებში, ასევე მდედრობითი სქესის ასაკობრივ ქვეჯგუფებში.

### **დასაცავად გამოტანილი დებულებები**

- 1) TSH-სა და D ვიტამინის დონეს შორის არსებობს უარყოფითი ასოციაცია მთელ საკვლევ ჯგუფში, ქალების მთლიან ჯგუფსა და 45 წლამდე ასაკობრივ ქვეჯგუფში.
- 2) Anti-TPO-სა და D ვიტამინს შორის უარყოფითი ასოციაცია ვლინდება მთელ საკვლევ ჯგუფში, მდედრობითი სქესის პირებსა და 45 წლამდე ასაკობრივ ქვეჯგუფში.
- 3) Anti-TG-სა და D ვიტამინს შორის უარყოფითი ასოციაცია ვლინდება მდედრობით სქესის მთლიან ჯგუფში.

4) ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმის არაერთგვაროვნებასა და D ვიტამინის დონეს შორის უარყოფითი ასოციაცია აღინიშნება ქალების მთლიან ჯგუფში.

## 2.2 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წარსულში D ვიტამინი განიხილებოდა მხოლოდ როგორც ცხიმში ხსნადი ვიტამინი, თუმცა უკანასკნელი წლების მონაცემებით დადგინდა, რომ მას გააჩნია ჰორმონის მსგავსი აქტივობა და მიეკუთვნება პროპორმონს (88) (105). D ვიტამინის დეფიციტი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუნდაც საკმარისი ულტრაიისფერი გამოსხივების მქონე დაბალი განედის ქვეყნებში. კვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოში დაახლოებით ერთ მილიარდ ადამიანს აღენიშნება D ვიტამინის დეფიციტი (40). D ვიტამინის დეფიციტის რისკ-ფაქტორებია: კანში მისი არასაკმარისი წარმოქმნა (კანის მუქი პიგმენტაცია, ასაკი, ტანისამოსი, მზისგანდამცავი საშუალებები, გეოგრაფიული ფაქტორები, მზის სხივების ნაკლებობა-ზამთრის სეზონი), სიმსუქნე, საკვებით D ვიტამინის არასაკმარისი მიღება (არაბალანსირებული კვება, ვეგეტარიანელობა, კვებითი დარღვევები (ანორექსია, ბულემია), მალაბსორბცია (ცელიაკია, კრონის დაავადება, წყლულოვანი კოლიტი, ცისტური ფიბროზი, ბილიარული ატრეზია, მოკლე ნაწლავის სინდრომი და ა.შ), პერინატალური ფაქტორები (ორსულობის დროს დედის D ვიტამინის დეფიციტი, დღენაკლულობა), ღვიძლის ან თირკმლის უკმარისობა, შაქრიანი დიაბეტი, D ვიტამინისადმი მემკვიდრული რეზისტენტობა, მედიკამენტები (ანტიკონვულსანტები, ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის საწინააღმდეგო აგენტები, ანტიმიკოზური საშუალებები, გლუკოკორტიკოსტეროიდები) (20) (105).

## ისტორიული მიმოხილვა

ჩრდილოეთ ევროპის ინდუსტრიალიზაციასა და რაქიტის განვითარებას შორის შესაძლო ურთიერთკავშირის შესახებ პირველი შეხედულება გამოთქვა დოქტორმა სნიადეცკიმ 1822 წელს, როდესაც დაასკვნა, რომ ქ.ვარშავაში მცხოვრებ ბავშვებში მზის

სხივების ნაკლებობის გამო რაქიტის განვითარების მეტი შემთხვევა იყო. მისი კლინიკური დაკვირვებებით, სოფლად მცხოვრებ ბავშვებს არ უვითარდებოდათ რაქიტი. 70 წელზე მეტის გასვლის შემდეგ იმავე დასკვნამდე მივიდა დოქტორი პალმი თავისი კოლეგების მოხსენებების საფუძველზე, რომ მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, ინდოეთისა და ჩინეთის ჩათვლით, რაქიტი იშვიათი იყო,- ლონდონში მცხოვრებ ბავშვებში დაავადების მაღალ გავრცელებასთან შედარებით. მოგვიანებით კ.ჰულდშინსკიმ დაასკვნა, რომ სავარაუდოდ უცნობი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმენა კანში და ხვდება სისხლის მიმოქცევაში, აუმჯობესებს ბავშვებში ძვლის მდგომარეობას. საბოლოოდ 1921 წელს ა.ფ.ჰესმა და ლ.ჯ. უნგერმა ნიუ-იორკის ჰოსპიტლის სახურავზე რაქიტით დაავადებულ ბავშვებზე მზის სხივების ზემოქმედებით აჩვენეს რაქიტის რადიოლოგიური მონაცემების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მათ ასევე აღმოაჩინეს, რომ ფერადკანიან ბავშვებს რაქიტის განვითარების მეტი რისკი ჰქონდათ და რაქიტის სამკურნალოდ და საპრევენციოდ მზის სხივების უფრო ხანგრძლივი ექსპოზიცია ესაჭიროებოდათ (117). D ვიტამინის აღმოჩენისთვის ადოლფ ვინდაუს 1938 წელს ნობელის პრემია მიენიჭა (69). D ვიტამინის და მისი მეტაბოლიტების ნომენკლატურა შემუშავებულ იქნა რეინოლდ ვიეტის მიერ (114).

## D ვიტამინის სინთეზი და მეტაბოლიზმი

ვიტამინი D (კალციფეროლი) წარმოადგენს სეკოსტეროიდული ჰორმონის პრეკურსორს და არსებობს მისი ორი ძირითადი ფორმა: ვიტამინი D<sub>2</sub> (ერგოკალციფეროლი) და ვიტამინი D<sub>3</sub> (ქოლეკალციფეროლი). ვიტამინი D<sub>2</sub> ძირითადად გვხვდება მცენარეულ საკვებში ან დამზადებულია ადამიანის მიერ და ემატება საკვებს, ხოლო ვიტამინი D<sub>3</sub> მზის ულტრაიისფერი სხივების გავლენით სინთეზირდება ადამიანის კანში 7-დეჰიდროქოლესტეროლისგან (2) (73), თუმცა ის ასევე გვხვდება ცხოველური წარმოშობის საკვებში (როგორიცაა ვირთევზის ღვიძლი და ცხიმიანი თევზი); ვირთევზას ღვიძლის ცხიმის ყოველი 100 გრ. შეიცავს დაახლოებით 90-250 მკგ D ვიტამინს; ცხიმიანი თევზი (მაგალითად, ოკეანის ორაგული) შეიცავს -6-10 მკგ/100 გრ.; ველური სკუმბრია -5-8 მკგ/100გრ; ვიტამინი D<sub>3</sub>

და 25(OH)D3 ასევე გვხვდება კვერცხში, ხორცსა და რძის პროდუქტებში; ვიტამინი D2 გვხვდება გარეულ ან კულტივირებულ სოკოში (38).


D2 და D3 ფორმა ერთმანეთისგან განსხვავდება გვერდითი ჯაჭვის სტრუქტურით. ორივე ფორმა ფუნქციონირებს როგორც პროპორმონები. ერგოკალციფეროლი ქოლეკალციფეროლთან შედარებით ნაკლები ბიოლოგიური აქტივობით ხასიათდება. D ვიტამინი შესაძლოა მიღებულ იქნას საკვების სახით, როგორიცაა ცხიმიანი თევზი, D ვიტამინით გამდიდრებული საკვები ან D ვიტამინის დანამატები, მაგრამ რადგან საკვებით მიღება დამოკიდებულია მოხმარებული საკვები პროდუქტების რაოდენობაზე, საკვებით მიღებული D ვიტამინის რაოდენობა არასაკმარისია ადამიანისთვის. იგი უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის მხოლოდ 20%-ით შევსებას. ადამიანისთვის D ვიტამინის მთავარ წყაროს წარმოადგენს კანში მისი წარმოქმნა მზის სხივების ზეგავლენით (2) (30). 290-315 ნმ ტალღის სიგრძის მზის სხივები აბსორბირდება ეპიდერმისში, ეპიდერმული 7-დეპიდროქოლესტეროლი შთანთქავს მზის ულტრაიისფერ (UVB) სხივებს, ხდება ორმაგი ბმების აქტივაცია და წარმოიქმნება სეკოსტეროიდი - პრევიტამინ D3, რომელიც დაახლოებით 38 სთ-ის განმავლობაში კანში გარდაიქმნება ვიტამინ D3-ად (ქოლეკალციფეროლად). ვიტამინი D3 უფრო თერმოსტაბილურია. იგი პლაზმური მემბრანის გავლით ხვდება ექსტრაცელულურ სითხეში და შემდეგ დერმის კაპილარებში, სადაც უკავშირდება D ვიტამინ-დამაკავშირებელ-პროტეინს (DBP), რომლის დახმარებით ტრანსპორტირდება ღვიძლში (117). მოცირკულირე 25(OH)D3 -ის 99 % შეკავშირებულია D ვიტამინის შემაკავშირებელ ცილებთან და დაახლოებით 1% არის თავისუფალი სახით (116).

D ვიტამინის სინთეზზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი: ცნობილია, რომ ზაფხულის შუადღესაც კი მზის ულტრაიისფერი B სხივების მხოლოდ 1 % აღწევს დედამიწამდე, რადგან UVC სხივები (200–280 ნმ), 290 ნმ -მდე სიგრძის UVB სხივები სრულად და 290-320 ნმ სიგრძის UVB სხივების 99 % აბსორბირდება სტრატოსფერულ ოზონის შრეში. ზამთარში 33° განედის ზემოთ და ქვემოთ მცხოვრებთათვის ძალიან დაბალია კანში D ვიტამინის წარმოქმნის ალბათობა. ზენიტის კუთხე ასევე იცვლება დღის განმავლობაში: კანში D ვიტამინის სინთეზის ალბათობა ზაფხულშიც კი მცირდება დიღის 10 სთ-მდე და ნაშუადღევს 3 სთ-ის შემდეგ. ჰაერის დაბინძურება, ისევე როგორც, მზისგან დამცავი საცხების გამოყენება, - უარყოფითად მოქმედებს D

ვიტამინის სინთეზზე. რაც უფრო იზრდება სიმაღლე ზღვის დონიდან, მით მოკლდება მანძილი UVB სხივებსა და ზემოქმედების არეალს შორის, შესაბამისად მით მეტი ვიტამინი D3 წარმოიქმნება კანში. ვიტამინი D-ს სინთეზზე გავლენას ახდენს კანის პიგმენტაციის დონე: დროის ერთიდაიგივე შუალედში რაც მეტია კანის პიგმენტაცია, მით ნაკლებია 7-დეჰიდროქოლესტეროლის გარდაქმნა პრევიტამინ D3-ად. ასაკთან ერთად კანის ეპიდერმისში მცირდება 7-დეჰიდროქოლესტეროლის დონე. შესაბამისად, ასაკის მატებასთან ერთად კანში მცირდება D ვიტამინის სინთეზი (117). კანში მზის სხივების ზეგავლენით დღიურად 250 მკგ (10000 IU) D ვიტამინის წარმოქმნაა შესაძლებელი (2). კანში წარმოქმნილი D ვიტამინი სისხლში დაახლოებით 2-ჯერ უფრო ხანგრძლივად რჩება, ვიდრე პერორალურად მიღებული (99).

პერორალურად, საკვების სახით ან დანამატებით მიღებული D ვიტამინი (D2 , D3, ან ორივე ფორმა) შეიწოვება წვრილ ნაწლავში, ლაგდება ქილომიკრონებში და ხვდება ჯერ ლიმფურ სისტემაში, შემდეგ კი ვენურ სისხლში. წვრილი ნაწლავიდან D ვიტამინის შეწოვაზე გავლენას ახდენს ნაწლავის სანათურში ცხიმის არსებობა, ასევე ნაღვლის მუავები და პანკრეასული ლიპაზა (89).

D ვიტამინის გააქტიურება მოიცავს ორ ფერმენტულ ჰიდროქსილირების რეაქციას: პირველი ხორციელდება 25-ჰიდროქსილაზით (CYP2R1), რომელიც ვიტამინ D-ს ღვიძლში გარდაქმნის 25-ჰიდროქსივიტამინ D-ს ფორმად (25(OH)D). მეორე რეაქციის დროს 25(OH)D გარდაქმნება 1,25-დიჰიდროქსივიტამინ D -დ (1,25(OH)<sub>2</sub>D) ანუ კალციტრიოლად-აქტიურ ფორმად, რაც ხორციელდება თირკმელში ან სხვა ორგანოებში 1α-ჰიდროქსილაზით (CYP27B1)(სურათი 1).



### სურათი 1: D ვიტამინის სინთეზი და აქტივაცია

(ადაპტირებულია Jameson, J. (2013). *Harrison's Endocrinology*, 3E. McGraw-Hill Education- დან).


1 $\alpha$ -ჰیدროქსილაზას აქტივობა რეგულირდება პარათჰორმონით (PTH). CYP27B1 ინდუცირდება ჰიპოკალცემიით და ჰიპოფოსფატემიით, ხოლო ჰიპერკალცემია და ჰიპერფოსფატემია ამცირებს მის აქტივობას. 1,25(OH)<sub>2</sub>D-ს

წარმოქმნის კონტროლი თირკმელში სტიმულირდება PTH-ით, ხოლო ინჰიბირდება კალციუმით, ფოსფორით, ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორით -(FGF)23-ით.

1α-ჰიდროქსილაზა თირკმლის გარდა გვხვდება ძვალში, კანში, მსხვილ ნაწლავში, ტვინსა და იმუნურ უჯრედებში, სადაც მისი რეგულირება ხორციელდება პარათჰორმონისგან დამოუკიდებლად. მზის სხივების გავლენით D ვიტამინის ჭარბი წარმოქმნა და ინტოქსიკაცია არ ხდება, ვინაიდან კანში პრევიტამინი D3 გარდაიქმნება ლუმისტეროლად და ტაქისტეროლად. 25(OH)D3-ის და 1,25(OH)<sub>2</sub>D3-ის ინაქტივაცია ხორციელდება 24-ჰიდროქსილაზით (18) (30) (73) (124). კალციტრიოლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სისხლში ფოსფორის და კალციუმის დონის მომატება ძვლების ნორმალური მინერალიზაციის მისაღწევად.

D ვიტამინის გარეშე, საკვებით მიღებული კალციუმის მხოლოდ 10-15%, ხოლო ფოსფორის 60% შეიწოვება (82). D ვიტამინის ბალანსის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ორი პროტეინი: ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი 23 (FGF23) და პარათჰორმონი (PTH). FGF23 თრგუნავს კალციტრიოლის სინთეზს, ხოლო PTH ასტიმულირებს კალციტრიოლის წარმოქმნას. FGF23 აქტიურდება კალციტრიოლის მაღალი კონცენტრაციით და ჰიპოფოსფატემიით, აბალანსებს Cyp24A1-ის გავლენით და შესაბამისად თრგუნავს D ვიტამინის სიგნალს. ხოლო PTH ააქტიურებს D ვიტამინის სიგნალს და Cyp27B1-ს. PHT ითრგუნება კალციტრიოლის მაღალი კონცენტრაციით და აქტიურდება ჰიპოკალცემიით (26). ფოსფორის დაბალი დონე ააქტიურებს კალციტრიოლის სინთეზს, ხოლო ჰიპერფოსფატემია კი თრგუნავს კალციტრიოლის სინთეზს.

ბევრი სხვა ჰორმონის მსგავსად, D ვიტამინს შეუძლია უჯრედულ დონეზე სწრაფი ზემოქმედება განახორციელოს რამდენიმე წამიდან წუთებამდე; სწორედ ასეთი მოქმედებით უზრუნველოყოფს D ვიტამინი კალციუმის ჰომეოსტაზის შენარჩუნებას და იმუნომოდულატორული და იმუნოსუპრესიული ეფექტების განხორციელებას (2) (სურათი 2).



## სურათი 2: კალციუმის ჰომეოსტაზის შენარჩუნება

(ადაპტირებულია Larsen, R., & Kronenberg, H. (2011). et ad. Williams textbook of endocrinology 12th edition.- დან).

25(OH)D წარმოადგენს D ვიტამინის მთავარ მოცირკულირე ფორმას და ძირითადად გვხვდება DBP-თან ერთად. თავის მხრივ, აღნიშნული პროტეინი იკავშირებს ასევე ქოლეკალციფეროლს და კალციტრიოლს, თუმცა DBP-თან ყველაზე მეტი აფინურობით 25(OH)D გამოირჩევა. ქოლეკალციფეროლის ნახევარდაშლის პერიოდი ორგანიზმში დაახლოებით 2 თვეა, ხოლო 25(OH)D-ს შემთხვევაში-15 დღე, კალციტრიოლის შემთხვევაში კი - რამდენიმე საათი. 25(OH)D წარმოადგენს D ვიტამინის სტატუსის შესაფასებელ საუკეთესო საშუალებას. 1,25(OH)2D შრატის 25(OH)D-სთან შედარებით 1000-ჯერ დაბალი კონცენტრაციით ცირკულირებს სისხლში (53).

D ვიტამინი დეპონირდება ცხიმოვან ქსოვილში. ცნობილია, რომ ზრდასრულ ადამიანებში ნორმალური წონის ზემოთ ყოველ 15 კგ-ზე ყოველდღიურად დამატებით 700 IU D ვიტამინის მიცემისას 1 წლის განმავლობაში 25(OH)D ვიტამინის დონე 10 ნმოლ/ლ-ით უფრო დაბალი იყო ნორმალური წონის ადამიანებთან შედარებით. კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ ნორმალური სხეულის მასის ინდექსის ზევით ყოველ 10 კგ-ზე დამატებით 700 IU D ვიტამინის მიღებაა დღიურად საჭირო სისხლში 25(OH) D -ს იგივე ფარგლებში შესანარჩუნებლად, რაც ნორმალური წონის პირებს აღენიშნებოდათ (12).

ამავე დროს წონის კლებამ შესაძლოა ხელი შეუწყობს სისხლში 25(OH) D-ს დონის მატებას ინსულინრეზისტენტობის შემცირების გამო (111).

ჩვეულებრივ, ლაბორატორიული კვლევით იზომება ჯამური 25(OH) ვიტამინი D, რომელიც მოიცავს D-ვიტამინ დამაკავშირებელ პროტეინთან შეკავშირებულ D ვიტამინს (DBP- 90%), ალბუმინთან შეკავშირებულს -9.9 % და ძალიან მცირე რაოდენობით თავისუფალ D ვიტამინს. ღია ფერის კანის მქონე პირებთან შედარებით აფროამერიკელებს D ვიტამინის დონე უფრო დაბალი აქვთ, მაგრამ მათი ძვლის მინერალური სიმკვრივის, სისხლში კალციუმის დონის და მხოლოდ ოდნავ მომატებული პარათჰორმონის არსებობა შეიძლება აიხსნას DBP-ის შედარებით დაბალი დონით, რაც ახდენს D ვიტამინის დეფიციტის კლინიკური მანიფესტაციისგან დაცვას (37). გლუკოვორტიკოიდების მიღების ფონზე სისხლში D ვიტამინის რეცეპტორის ექსპრესია შესაძლოა შემცირებული იყოს სხვადასხვა ქსოვილსა და უჯრედში, რასაც მივყავართ D ვიტამინისადმი რეზისტენტობამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტეროიდინდუცირებული ოსტეოპოროზის დროს კალციტრიოლის გამოყენება შესაძლოა უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქოლეკალციფეროლთან შედარებით (38).

ცხიმში ხსნადი სხვა ვიტამინებისგან განსხვავებით, D ვიტამინი არ ინახება ღვიძლში (გვხვდება მხოლოდ ზოგიერთი თევზის ღვიძლში), არამედ ძირითადად დეპონირდება ცხიმოვან ქსოვილში (74). 1,25(OH)<sub>2</sub>D უკავშირდება VDR-ს (127). VDR კი უკავშირდება D ვიტამინზე მოპასუხე ელემენტებს (VDREs) დნმ-ში, ძირითადად DR3 ტიპის. როდესაც კალციტრიოლი დაუკავშირდება VDR-ს, ვითარდება კონფორმაციული ცვლილებები - ორი ახალი პროტეინის ფორმირება დამაკავშირებელ


ზედაპირზე. ერთ-ერთია რეტინოიდი X რეცეპტორი (RXR). VDR -ის და RXR-ის ჰეტეროდიმერიზაცია მნიშვნელოვანია VDR-ის ფუნქციონირებისთვის (26). D ვიტამინის რეცეპტორები, ისევე როგორც 1-ა-ჰიდროქსილაზა, თირკმლის გარდა სხვა ქსოვილის უჯრედებზეც ექსპრესირდება, რაც ქსოვილებს საშუალებას აძლევს  $1,25(\text{OH})_2\text{D}_3$  -ის სინთეზის რეგულირება მოახდინოს საკუთარი საჭიროების მიხედვით. ქსოვილების მიერ პარათჰორმონისგან დამოუკიდებლად კალციტრიოლის ეს პარაკრინული/აუტოკრინული წარმოქმნის რეგულირება განაპირობებს ადამიანის ორგანიზმზე D ვიტამინის პლეიოტროპულ ეფექტებს და D ვიტამინის დეფიციტის უარყოფით გავლენას მთელ ორგანიზმზე (116).

იმუნურ უჯრედებში აღმოჩენილი 1a-ჰიდროქსილაზა იდენტურია თირკმელში არსებული ფერმენტის, თუმცა მათი რეგულირება და აქტივობა განსხვავდება ერთმანეთისგან: თირკმელში არსებული ფერმენტის აქტივობა კონტროლდება კალციუმის და ძვლოვანი სისტემის მდგომარეობის მიხედვით, ხოლო მაკროფაგული ფერმენტი რეგულირდება იმუნური სიგნალებით, როგორიცაა IFN-γ (2).

რანდომიზირებული კონტროლირებადი კვლევების მეტა-ანალიზი აჩვენებს, რომ ვიტამინი D3-ის გამოყენებით  $25(\text{OH})\text{D}$ -ს დონე სისხლში უფრო ეფექტურად და დროულად ნორმალიზდება, ვიდრე ვიტამინი D2-ის გამოყენებით. შესაბამისად, D ვიტამინის დეფიციტის შესავსებად ვიტამინი D3-ის პრეპარატებს (ქოლეკალციფეროლი) უპირატესობა ენიჭება ვიტამინ D2-თან (ერგოკალციფეროლი) შედარებით.

დაგროვილი მტკიცებითი მონაცემები მიუთითებს, რომ კალციტრიოლის წარმოსაქმნელად ქოლეკალციფეროლის და ერგოკალციფეროლის ღვიძლში და თირკმელში ჰიდროქსილირების პროცესი განსხვავებულია. ვიტამინი D2 განსხვავდება D3 ვიტამინისგან გვერდითი ჯაჭვის 24-ე ნახშირბადით და ორმაგი ბმით ნახშირბადის 22-ე-23-ე ატომს შორის (7). ეს სხვაობა ნიშნავს, რომ ნახშირბადის მასა ერგოკალციფეროლში არის 3.1 %-ით მეტი, ვიდრე ქოლეკალციფეროლში (90). გვერდითი ჯაჭვების წყობაში განსხვავება (ერგოკალციფეროლს აქვს 24-ე ნახშირბადზე დამატებითი მეთილის ჯგუფი) პირდაპირ მოქმედებს ერგოკალციფეროლის  $25(\text{OH})\text{D}$ -ად გარდაქმნის სიჩქარეზე და DBP-თან და VDR-თან

მის აფინურობაზე, რაც წარმოადგენს გადამწყვეტ საფეხურებს D ვიტამინის აქტივაციის პროცესში (სურათი 3).



სურათი 3: ერგოსტეროლის და 7-დეჰიდროქოლესტეროლის ფოტოლიზი ვიტამინ D2-ად (ერგოვალციფეროლი) და ვიტამინ D3-ად (ქოლევალციფეროლი).

(ადაპტირებულია Gardner, D. G., & Shoback, D. M. (2011). *Greenspan's basic and clinical endocrinology*. McGraw-Hill Education- დან).

კალციტრიოლის წარმოქმნის შემდეგ თირკმელში მიმდინარეობს 1,24,25(OH)<sub>3</sub>D-ის წარმოქმნა. 1,24,25(OH)<sub>3</sub>D2-ის წარმოქმნის შემდეგ ერგოვალციფეროლი დეაქტივირდება, ხოლო ქოლევალციფეროლი, რომელიც არის

1,24,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub>-ად გარდაქმნილი, კვლავ ინარჩუნებს VDR-თან დაკავშირების უნარს და დეაქტივაციისთვის დამატებით ოქსიდაციურ პროცესს საჭიროებს. შესაბამისად, ეს დამატებითი საფეხური დიდ უპირატესობას ანიჭებს ქოლეკალციფეროლს, რათა შეინარჩუნოს ბიოლოგიური აქტივობა და D ვიტამინის დონე (109).

### D ვიტამინის იმუნომოდულატორული ეფექტები

1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> არის მნიშვნელოვანი ჰორმონი ბვალ-კუნთოვანი ჰომეოსტაზის შენარჩუნებისთვის. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში, VDR-ის სხვადასხვა ქსოვილში აღმოჩენის შემდეგ, ყურადღება მიიქცია D ვიტამინის სხვა ეფექტებმაც: ის ხელს უწყობს ნერვული სისტემის განვითარებას, დამცველობის და ტრანსმისიის უნარს; ამცირებს რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის აქტივობას; იცავს სისხლძარღვის ენდოთელიუმს დაზიანებისგან; აუმჯობესებს ინსულინისადმი მგრძნობელობას. შესაბამისად, არსებობს გარკვეული კავშირი D ჰიპოვიტამინოზსა და მეტაბოლური სინდრომის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, სიმსივნისა და ნეიროკუნთოვანი პათოლოგიების განვითარებას შორის. ბოლო წლების განმავლობაში იზრდება მონაცემები D ვიტამინის იმუნურ სისტემაზე გავლენის შესახებ ( 30) (73).

იმუნურ უჯრედებს გააჩნიათ 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub>-ის წარმოქმნის უნარი (132). VDR მიეკუთვნება სტეროიდული/თიროიდული ჰორმონების ბირთვული ინტრაუჯრედული რეცეპტორების ოჯახს და გვხვდება სხვადასხვა უჯრედში, მათ შორის იმუნურ უჯრედებში, როგორიცაა დენდრიტული უჯრედები, მაკროფაგები/მონოციტები, ნეიტროფილები, T და B ლიმფოციტები. VDR არეგულირებს სხვადასხვა გენის ტრანსკრიფციას, გავლენას ახდენს როგორც თანდაყოლილ, ასევე შეძენილ იმუნურ სისტემაზე.

D ვიტამინმა იმუნურ უჯრედებზე გავლენა VDR-თან დაკავშირების საშუალებით შეიძლება მოახდინოს. 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> უკავშირდება VDR -ს სამიზნე ორგანოს უჯრედზე, რათა წარმოიქმნას ჰეტეროდიმერული კომპლექსი. ეს 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub>-VDRRXR კომპლექსი თავის ბიოლოგიურ ფუნქციას ახორციელებს შემდეგი მექანიზმით: ის სპეციფიურად უკავშირდება სამიზნე გენების დნმ-ზე

პრომოუტერ რეგიონებს, რაც არეგულირებს სამიზნე გენების ტრანსკრიპციულ აქტივობას (15) (17).

თანდაყოლილი (ბუნებრივი) იმუნიტეტი წარმოადგენს იმუნოლოგიურ სუბსისტემას, რომელიც მოიცავს ინფექციისგან პირველი დაცვის ხაზს. ბუნებრივ იმუნურ პასუხში მონაწილე უჯრედებია ფაგოციტები და „ბუნებრივი მკვლელები” - NK უჯრედები. ბუნებრივი იმუნური პასუხისგან განსხვავებით, შეძენილი იმუნური პასუხი მაღალსპეციფიკურია და მასში მონაწილე უჯრედებს T და B ლიმფოციტები მიეკუთვნება. იმუნურ პასუხში მონაწილე ყველა უჯრედი ჰემოპოეზური ღეროვანი უჯრედიდან წარმოიქმნება. მათ შორის T და B ლიმფოციტები, ასევე NK უჯრედები-ლიმფოიდური წარმოშობისაა, ხოლო ნეიტროფილები, ეოზინოფილები, ბაზოფილები, პოხიერი უჯრედი და მონოციტი- მიელოიდური წარმოშობის (133).

D ვიტამინი უკავშირდება ჰემატოპოეტურ სისტემაზე ექსპრესირებულ VDR-ებს, რაც განაპირობებს მიელოიდურ დიფერენცირებას მონოციტების და გრანულოციტების ხაზით.  $1,25(\text{OH})_2\text{D}_3$  აძლიერებს მონოციტების და მაკროფაგების აქტივობას დეფენსინ-2 და კათელიციდინ-ანტიმიკრობული პეპტიდის წარმოქმნით. მაკროფაგებს გააჩნია ფაგოციტოზის, ანტიგენის წარდგენის, სეკრეტორული, ეფექტორული და მარეგულირებელი ფუნქციები. კალციტრიოლი ხელს უწყობს პათოგენის გამოდევნას ქემოტაქსისის და ფაგოციტოზის ინდუცირებით. მიუხედავად იმისა, რომ D ვიტამინი აძლიერებს თანდაყოლილი იმუნური სისტემის ანტიმიკრობულ აქტივობას, ის ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმუნური ტოლერანტობის შენარჩუნებაში მონოციტების მიერ ანტიგენის წარდგენის დაქვეითების გზით. D ვიტამინის დეფიციტმა შესაძლოა ხელი შეუწყოს მონოციტების ანტიმიკრობული აქტივობის შემცირებას: ფაგოციტოზის გაუარესებას, ქემოტაქსისის შემცირებას, ანტიანთებითი ციტოკინების გამოყოფის შემცირებასა და ანტისიმსივნური აქტივობის დაქვეითებას.

ვიტამინი D მნიშვნელოვანი ფაქტორია მაკროფაგების მომწიფებისთვის და განაპირობებს მონოციტების მაკროფაგებად დიფერენცირებას, ფაგოციტოზის და ქემოტაქსიზის გაძლიერებას, მონონუკლეური მაკროფაგების სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობას.

ტრანსმემბრანული Toll ცილის მსგავსი რეცეპტორების (Toll-like receptors- TLR) ფუნქცია პათოგენთან ასოცირებული მოლეკულების შეცნობაა. TLR-ები ძირითადად მაკროფაგებსა და დენდრიტულ უჯრედებზეა განლაგებული, თუმცა შეიძლება იყოს ნეიტროფილებზე, ეოზინოფილებზე, ეპითელურ უჯრედებსა და კეტრატინოციტებზეც. TLR-ის გააქტიურება იწვევს Th უჯრედების იმუნური პასუხის Th1-ისკენ გადახრას. ხოლო ვიტამინი D მონოციტების ზედაპირზე TLR2 და TLR4 ექსპრესიის დათრგუნვით ამცირებს ანთებითი ციტოკინების (მაგალითად TNF-a) წარმოქმნას და ახდენს TLRs-ის ზეაქტივობისგან დაცვას (94) (132).

1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> ასევე აინჰიბირებს დენდრიტული უჯრედების ქემოტაქსისს და ანტიგენის წარდგენას.

შეძენილი იმუნიტეტი ძალზე სპეციფიკურია თითოეული პათოგენური ანტიგენისთვის და ხორციელდება T და B ლიმფოციტების მიერ (73). B უჯრედების გააქტიურების შედეგად წარმოიქმნება ანტიგენსპეციფიკური ანტისხეულები, რომლებიც უკავშირდება ანტიგენს. ხოლო T უჯრედების გააქტიურების შედეგად წარმოიქმნა ანტიგენარასპეციფიკური ხსნადი ფაქტორები- მცირე ზომის ცილები-ციტოკინები. ციტოკინების რეცეპტორები სხვადასხვა უჯრედზეა განლაგებული. D ვიტამინი გავლენას ახდენს ანტიგენწარმდგენ უჯრედებზე. ეს უჯრედები ანტიგენს წარადგენს T უჯრედებთან ჰისტოშეთავსების მთავარი კომპლექსის მოლეკულებთან (MHC) დაკავშირების გზით.

დენდრიტული უჯრედები წარმოადგენს მეტად ძლიერ ანტიგენწარმდგენ უჯრედებს. მათ შეუძლია როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი იმუნური პასუხის გამოწვევა და იმუნური აქტივობის ბალანსირება. ზოგიერთი კვლევა აღწერს 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub>-ის ეფექტს დენდრიტული უჯრედების მორფოლოგიასა და ფუნქციაზე. D ვიტამინს შეუძლია ინტერლეიკინების სეკრეციის რეგულირება დენდრიტულ უჯრედებში: ვიტამინი D ზრდის ანთებისაწინააღმდეგო ციტოკინების დონეს (მაგალითად, ინტერლეიკინ-10-ს) და ამცირებს პროანთებითი ციტოკინების (IL-12, IL-23, TNF-a, IFN-γ) წარმოქმნას. 1a, 25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> აინჰიბირებს მონოციტების დენდრიტულ უჯრედებად დიფერენცირებას.

ინ ვიტრო კვლევით, VDR აგონისტების ზემოქმედებით დენდრიტული უჯრედები ინარჩუნებენ მონოციტურ მარკერ CD14-ს, კარგავენ CD1a- ს გააქტიურების

უნარს, ინარჩუნებენ მაკროპინოციტოზის განხორციელების უნარს და არ აექსპრესირებენ MHC-ს და თანამასტიმულირებელ მოლეკულებს (როგორიცაა CD40, CD80, CD86). შედეგად, ქვეითდება IL-12 და IFN, ხოლო IL-10 და ზრდის ფაქტორი-ს წარმოქმნა მატულობს, ითრგუნება T-უჯრედების აქტივობა. აღნიშნული განაპირობებს ანტიგენის მიღების შემცირებას და აუტოიმუნური პროცესის სუპრესიას (2) (131). დენდრიტული უჯრედების შემთხვევაში განასხვავებენ 2 მთავარ ფაზას: მომწიფებამდე სტადია, რომელიც ეფექტურია ანტიგენის შთანთქმის და დამუშავების თვალსაზრისით და მომწიფების სტადია, როდესაც იკარგება ანტიგენის შთანთქმის უნარი და უჯრედი მიგრირებს რეგიონული ლიმფური კვანძების გავლით, მისი ფუნქცია გადაირთება პოტენციურ ანტიგენწარმდგენ უჯრედად.

მკვლევარებმა ასევე აღმოაჩინეს  $1,25(\text{OH})_2\text{D}_3$ -ის დამატებითი იმუნოსუპრესიული ეფექტები დენდრიტულ უჯრედებზე. VDR აგონისტების ადმინისტრირება ამცირებს IL-12-ის წარმოქმნას, იწვევს IL-10-ის პროდუქციის ზრდას და ხელს უწყობს იმუნოგლობულინის-მსგავსი ტრანსკრიპტინ-3-ის ექსპრესიას, რომელიც არის მაინკიბირებელი მოლეკულა და ასოცირებულია ტოლერანტობის განვითარებასთან. კალციტრიოლი არამხოლოდ ამცირებს დენდრიტული უჯრედების მონოციტებში დიფერენცირებას, არამედ, ასევე, ბლოკავს მათ საბოლოო დიფერენცირების უნარს (4).

CD4+T უჯრედების ერთი სუბპოპულაცია ცნობილია Th1 უჯრედების სახით და გამოიმუშავებს ციტოკინებს IL-2, IFN-γ-ს. NK უჯრედების და მაკროფაგების მიერ პათოგენური აგენტის საპასუხოდ გამოყოფილი IL-12 და IFN-γ ხელს უწყობს T უჯრედებიდან Th1 წარმოქმნას. CD4+T უჯრედების მეორე ქვეჯგუფს Th2 უჯრედები წარმოადგენენ და გამოყოფენ IL-4, IL-5, IL-6, IL-10-ს. Th2 უჯრედების წარმოქმნისთვის საჭიროა ანტიგენსტიმულაცია IL-4-ით.

Th1 უჯრედების მიერ გამოყოფილი IL-2 და IFN-γ ააქტიურებს CD8+T უჯრედებს, NK უჯრედებსა და მაკროფაგებს. ხოლო Th2 უჯრედების მიერ გამომუშავებული ციტოკინები კი B უჯრედებს ააქტიურებს. ფუნქციურად განსხვავებული ციტოკინების პროდუქციას დიდი კლინიკური მნიშვნელობა აქვს. CD4+ T უჯრედების ერთი ჯგუფის მიერ გამოყოფილი ციტოკინები თრგუნავს მეორე ქვეჯგუფის ფუნქციას (133).

Th17 უჯრედები წარმოადგენს T უჯრედების ახალ ჯგუფს. D ვიტამინმა შეიძლება გავლენა იქონიოს Th1, Th2, და Th17 უჯრედების განაწილებაზე; ასევე, შესაძლოა დათორგუნოს CD4+ T უჯრედების გარდაქმნა Th1 უჯრედებად. D ვიტამინი ასევე აინჰიბირებს Th1 უჯრედების მიერ IL-2 და IFN-γ წარმოქმნას; ამავე დროს, ხელს უწყობს Th1-ის გარდაქმნას Th2 უჯრედებად და აძლიერებს Th2 უჯრედებიდან IL-4, IL-5 და IL-10-ის წარმოქმნას (2). D ვიტამინი არეგულირებს Th1/Th2 უჯრედების შეფარდებას და თრგუნავს Th1-ით გამოწვეული იმუნური პასუხით ქსოვილების დაზიანებას. Th17-ს აქვს პროანთებითი ეფექტი, ვინაიდან წარმოქმნის ისეთ ციტოკინებს, როგორიცაა IL-17A, IL-17F, IL-21, IL-22, და IL-6, ასევე უკავშირდება CC-type ქემოკინ 6 -ს და TNF-a-ს. IL-17 ციტოკინები (IL-17A - IL-17F), ასრულებს მნიშვნელოვან როლს თანდაყოლილი და შეძენილი იმუნური სისტემისთვის. IL-17A არის Th17 უჯრედების მიერ წარმოქმნილი მთავარი ციტოკინი. იგი მატულობს სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადების დროს, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, რევმატოიდული ართრიტი, ფსორიაზი, ნაწლავის ანთებითი დაავადება და ა.შ.

1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> აინჰიბირებს T უჯრედებში IL-17A -ს წარმოქმნას მრავლობითი სკლეროზის, რევმატოიდული ართრიტის დროს. თაგვებში ჩატარებული ცდები მიუთითებს, რომ 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> ამცირებს IL-17A-ს წარმოქმნას და კოლიტის განვითარებას. კვლევები აჩვენებს, რომ კალციტრიოლი ამცირებს IL-6-ის დონესაც (6) (130).

Th17 უჯრედები მონაწილეობებს აუტოიმუნური დაავადების განვითარებაში. D ვიტამინს შეუძლია CD4+ T უჯრედების Th17 უჯრედებად გარდაქმნის დათორგუნვა. D ვიტამინს ასევე შეუძლია გავლენა ჰქონდეს მარეგულირებელ T უჯრედებზე (Tregs) მათი ფუნქციის ინჰიბირების გარეშე და ხელს უწყობს მათ მიერ IL-10-ის წარმოქმნას. T მარეგულირებელი უჯრედები გავლენას არ ახდენს T უჯრედების საწყის გააქტიურებაზე, არამედ ისინი ეწინააღმდეგებიან იმუნური პასუხის შენარჩუნებას და იმუნოპათოლოგიური რეაქციების განვითარებას. Tregs უჯრედები აუტოიმუნური დაავადებების პრევენციას ახდენენ. Th17 უჯრედების შემცირება ზრდის T მარეგულირებელი უჯრედების დონეს. Th17/Treg უჯრედების ფარდობის დისბალანსი გვხვდება ქრონიკული ანთებითი პროცესების დროს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი აუტოიმუნური დაავადებების მკურნალობის

გაუმჯობესებაში      მდგომარეობს      Th17/Treg      უჯრედების      შეფარდების  
დარეგულირებაში. D ვიტამინს Th17/Treg დისბალანსის დარეგულირება შეუძლია T  
მარეგულირებელი უჯრედების გაზრდით და Th17 უჯრედების დიფერენცირების  
შემცირებით. შესაბამისად, D ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს  
აუტოიმუნური დაავადებების და ტრანსპლანტაციის მოცილების თავიდან აცილებაში.  
D ვიტამინის დანამატებმა შესაძლოა გაზარდოს Treg უჯრედების ფუნქცია როგორც  
ჯანმრთელ პირებში, ასევე აუტოიმუნური დაავადებების მქონე პაციენტებში. 1,25  
(OH)<sub>2</sub>D -ს შეუძლია ასტიმულიროს FOXP3 -ის ტრანსკრიფციული ფაქტორი, რომელიც  
მონაწილეობს Treg უჯრედების განვითარებასა და ფუნქციონირებაში. მაშასადამე,  
კალციტრიოლს შეუძლია გაზარდოს CD4+ Treg უჯრედების რაოდენობა და /ან  
ფუნქცია, რომელთაც გააჩნიათ ანთების საწინააღმდეგო ეფექტები. D ვიტამინით  
სტიმულირებული Treg უჯრედები შესაძლოა მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს ალო  
-და აუტოიმუნურ T-უჯრედულ პასუხში მაინჭიბირებელი ციტოკინების, როგორიცაა  
IL-10, გამოყოფაში. ჩატარებული კვლევების მიხედვით, ვიტამინი D3 შესაძლოა  
პირდაპირ ან ირიბად ზრდის Treg უჯრედების რაოდენობას ან ფუნქციას.  
ობსერვაციული კვლევები მიუთითებს, რომ რაც მაღალია D ვიტამინის დონე, მით  
მეტია ასოციაცია Treg/Ttotal უჯრედების თანაფარდობასთან და მეტია  
იმუნოსუპრესიული გავლენა.

არსებული მონაცემებით, კალციტრიოლი T უჯრედებზე პარაკრინულად  
მოქმედებს. VDR განაპირობებს კალციტრიოლზე უჯრედების პასუხს (42). VDR -ის  
ლოკუსი მდებარეობს 12q13.1 ქრომოსომაზე. არსებობს VDR -ის სამი იზოფორმა:  
ყველაზე გავრცელებულია 427 ამინომჟავისგან შემდგარი იზოფორმა- VDRA. მეორე  
იზოფორმა- VDRB1- 477 ამინომჟავისგან შემდგარი, რომელიც გახვდება ადამიანის  
ნაწლავსა და თირკმლის ეპითელურ უჯრედებში. ხოლო მესამე, ყველაზე მოკლე- 424  
ამინომჟავისგან შემდგარი და, ამავე დროს, ყველაზე მეტი ტრანსაქტივაციის უნარის  
მქონე იზოფორმაა. აღწერილია 14- ზე მეტი სხვადასხვა პოლიმორფიზმის მქონე VDR,  
რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კალციტრიოლის VDR-თან დაკავშირების შემდგომ  
პასუხზე.

გენეტიკური ვარიაბელობის 90%-ში ვლინდება ნუკლეოტიდური  
პოლიმორფიზმი და D ვიტამინის მეტაბოლიზთან დაკავშირებული გენების

ცვლილება, რამაც ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სისხლში კალციტრიოლის დონეზე, ისევე როგორც, DBP-ის, 25 -ჰიდროქსილაზას და D ვიტამინის რეცეპტორის მდგომარეობაზე (91). VDR გენის BsmI ან TaqI პოლიმორფიზმი ასოცირებულ იქნა აუტოიმუნური თირეოიდიტის განვითარებასთან (11) (35).

VDR ასევე ექსპრესირდება ვ უჯრედებზე, თუმცა D ვიტამინის გავლენა ვ უჯრედებზე ჯერ კიდევ საკამათოა. D ვიტამინს შეუძლია ვ ლიმფოციტური უჯრედების აპოპტოზის გამოწვევა და იმუნოგლობულინების პროდუქციის შემცირება (6). ამავე დროს, 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub>-ს შეუძლია გავლენა იქონიოს CD4+ T უჯრედების პასუხზე და მონოციტების/მაკროფაგების ინჰიბირების გზით დათრგუნოს ციტოკინების სეკრეცია. მაშასადამე,- არაპირდაპირად დათრგუნოს ვ უჯრედების ფუნქცია, ვინაიდან ვ ლიმფოციტური უჯრედების დახმარებაზე. ვ უჯრედების ზედაპირზე ასევე ექსპრესირდება D ვიტამინის მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტები, მათ შორის 1-ა-ჰიდროქსილაზა და 24-ჰიდროქსილაზა. აღნიშნული მიუთითებს, რომ D ვიტამინს შეუძლია ვ ლიმფოციტური უჯრედების ფუნქციონირებაზე გავლენა. მაშასადამე, D ვიტამინი აძლიერებს თანდაყოლილ იმუნურ სისტემას და არეგულირებს შეძენილი იმუნური სისტემის ფუნქციონირებას (66) (132).

ვიტამინი D<sub>3</sub> და მისი აქტიური ფორმა- კალციტრიოლი განიხილება როგორც აუტოიმუნური დაავადებისგან დამცავი უნარის მქონე საშუალებები. აღნიშნულს საფუძვლად უდევს კალციტრიოლის უნარი შერჩევითად არეგულიროს T-უჯრედებით განპირობებული აუტოიმუნური პასუხი.

CYP27B1 გენის მუტაცია კავშირშია სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადების განვითარებასთან: შაქრიანი დიაბეტი, ტიპი1, ადისონის დაავადება, ჰაშიმოტოს თირეოიდიტი და გრეივსის დაავადება (24) (42) (64). აღწერილია VDR ალელისა და მრავლობითი სკლეროზის განვითარებას შორის კავშირი. D ვიტამინი შესაძლოა აუმჯობესებდეს ღვიძლის ფუნქციას აუტოიმუნური ჰეპატიტის დროს: კალციტრიოლის რეცეპტორები წარმოდგენილია სინუსოიდალურ ენდოთელურ უჯრედებში, კუპფერის უჯრედებში და ბილიარული უჯრედების ხაზში (115). უკანასკნელი კვლევები მიუთითებს D ვიტამინსა და აუტოიმუნურ ბულოზურ

დაავადებას შორის შესაძლო კავშირზე: 25(OH)D-ს დაბალი დონე ასოცირებულ იქნა აუტომუნური ბულოზური დაავადების აქტივობასთან. ბულოზურ პემფიგოიდური Ig-G-ინდუცირებული IL-6 -ის და IL-8-ის სეკრეცია ადამიანის კერატინოციტებიდან შემცირდა კალციტრიოლის დახმარებით (110).

მრავალი ექსპერიმენტული კვლევა აჩვენებს, რომ ვიტამინი D და მისი მეტაბოლიტები ახდენს ენდოთელური ფუნქციის სტაბილიზებას. 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> არის ენდოთელური აზოტის ოქსიდის (eNO) სინთეზის რეგულატორი, იწვევს NO-ს გენის ექსპრესიის გააქტიურებას და NO-ს ენდოთელური პროდუქციის ზრდას. კალციტრიოლის მიერ VDR-ის გააქტიურება ზრდის NO-ს აქტივობას ინტრაუჯრედული მეორადი სასიგნალო გზით, საბოლოოდ კი იწვევს უჯრედში კალციუმის კონცენტრაციის ზრდას. მაშასადამე, D ვიტამინი და მისი მეტაბოლიტები ენდოთელიუმზე პლეიოტროპული მოქმედებით იცავს ქსოვილებს ლოკალური და სისტემური ანთებით გამოწვეული ვასკულური დისფუნქციისგან და დაზიანებისგან (21).

რამდენიმე წლის წინ აღწერილ იქნა D ვიტამინის მეტაბოლიზმის ალტერნატიული გზა CYP11A1-ის საშუალებით. CYP11A1 ცნობილი იყო როგორც სტეროიდოგენეზში მონაწილე ფერმენტი, რომელიც ქოლესტეროლისგან პრეგნენოლონის სინთეზში მონაწილეობს. თუმცა CYP11A1 აღმოჩენილ იქნა პერიფერიულ ქსოვილებში-კანსა და გასტროენტეროლოგიურ ტრაქტშიც. D ვიტამინი არის ამ ფერმენტისთვის სუბსტრატი და მისი მეტაბოლიზმი მოიცავს ჰიდროქსილირებას ძირითადად C-20-ან C22 უბანში გვერდით ჯაჭვზე ზემოქმედების გარეშე. ამ გზით მიღებული D ვიტამინის ახალი მეტაბოლიტებია 20(OH)D, 22(OH)D, და 17(OH)D. შემდგომი გარდაქმნის პროდუქტებია- 20,23(OH)<sub>2</sub>D, 20,22(OH)<sub>2</sub>D, 17,20(OH)<sub>2</sub>D და 17,20,23(OH)<sub>3</sub>D. მეტაბოლიზმის ამ ალტერნატიული გზით მიღებული 20(OH)D და მისი ჰიდროქსიმეტაბოლიტები კალციტრიოლთან შედარებით უფრო უკეთეს ანტიპროლიფერაციულ, მაღიფერენცირებელ და ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტებს იწვევენ კანის უჯრედებში (52).

## ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი

ჰაშიმოტოს თირეოიდიტი ფართოდ გავრცელებული ენდოკრინული პათოლოგიაა და წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებას. იგი პირველად აღწერა ექიმმა ჰ.ჰაშიმოტომ 1912 წელს. კლინიკური ქირურგის გერმანულ ჟურნალში მან გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც განხილული იყო მდედრობითი სქესის ოთხი ჰაციენტის ამოკვეთილი ფარისებრი ჯირკვლის ჰისტოპათოლოგიური ცვლილებები: ლიმფოციტური ინფილტრაცია, ფიბროზი, ჰარენქიმის ატროფია და ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური უჯრედების ეოზინოფილური ცვლილებები. თუმცა 1950-იან წლებამდე არ იყო ცნობილი ამ დაავადების აუტოიმუნური ბუნების შესახებ. 1956 წელს დ.დონიახმა კოლეგებთან ერთად ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე ჰაციენტების შრატიდან გამოყო თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულები (45)(83). აღნიშნულს წინ უსწრებდა ნ.როუზის მიერ თირეოგლობულინის იმავე ცხოველში შეყვანა, საიდანაც ის მიიღო, რამაც გამოიწვია არა მხოლოდ ანტისხეულების, არამედ ფარისებრი ჯირკვლის ანთების განვითარებაც. ასე აღმოაჩინა მან აუტოიმუნური თირეოიდიტი. სწორედ ამის შემდეგ დონიახმა და როიტმა აღმოაჩინეს თირეოგლობულინის ანტისხეულები ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე ჰაციენტების შრატში (123).

ამრიგად, ჰაშიმოტოს თირეოიდიტი წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებას, რომელიც ხასიათდება ფარისებრი ჯირკვლის ლიმფოციტური ინფილტრაციით, ფარისებრი ჯირკვლის საწინააღმდეგო ანტისხეულების დონის მატებით. ჰაშიმოტოს თირეოიდიტის გარდა ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებას მიეკუთვნება ასევე გრეივსის დაავადება. ჰაშიმოტოს თირეოიდიტს ასევე უწოდებენ ქრონიკულ ლიმფოციტურ ან ქრონიკულ აუტოიმუნურ თირეოიდიტს. იგი შეიძლება გამოვლინდეს სისხლში თირეოპეროქსიდაზას ან/და თირეოგლობულინის მიმართ ანტისხეულების მატებით (anti-TPO, anti-TG).

ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს შესაძლებელია შენარჩუნებული იყოს ეუთირეოიდული მდგომარეობა ან განვითარდეს ჰიპოთირეოზი, ზოგ შემთხვევაში ვითარდება ასევე გარდამავალი თირეოტოქსიკოზი. აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურული

ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს დიფუზური ან კვანძოვანი/მრავალკვანძოვანი ჩიყვის სახით. ასევე, შესაძლებელია ფარისებრი ჯირკვლის მოცულობის პროგრესირებადი შემცირება და მისი ატროფია (28) (63). აუტოიმუნური თირეოიდიტის განვითარება დამოკიდებულია გარემო პირობებსა და გენეტიკურ ფაქტორებზე. ჰაშიმოტოს თირეოიდიტის გავრცელება დამოკიდებულია ასაკზე (უფრო ხშირად გვხვდება 45-55წწ ასაკში), სქესზე (4-10-ჯერ ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში) (72), რასაზე (უფრო ხშირია თეთრკანიანებში). ალკოჰოლი, სტრესი, ტოქსინები, ზოგიერთი მედიკამენტი ხელს უწყობს ჰაშიმოტოს თირეოიდიტის განვითარებას (34) (63) (122). კვლევები მიუთითებს აუტოიმუნური თირეოიდიტის ეტიოლოგიაში გენეტიკური გავლენის როლზე. მონოზიგოტურ ტყუპებში მნიშვნელოვნად მაღალია ამ დაავადების შემთხვევები, ვიდრე დიზიგოტურ ტყუპებში. HLA-DR3 ჰაპლოტიპის მქონე პაციენტებში მომატებულია აუტოიმუნური თირეოიდიტის განვითარების რისკი. HLA-DR არის ადამიანის ლეიკოციტური ანტიგენის (HLA) II კლასის ცილა, რომელიც ანტიგენის წარდგენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

აუტოიმუნური თირეოიდიტისადმი მიდრეკილებას განაპირობებს ასევე CD40 ლიგანდი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტიგენწარმდგენ უჯრედებსა და T უჯრედებს შორის ურთიერთშეთანხმებული კავშირის რეგულირებაში. ნორმის შემთხვევაში CD40 არეგულირებს პროლიფერაციის, დიფერენცირების სიგნალს და რთავს იმუნოგლობულინ G-ს პროდუქციის სიგნალს B-ლიმფოციტებში. თიროციტებში CD40-ის აქტივაცია იწვევს ციტოკინების (მაგ: IL-6) სეკრეციას T უჯრედების მიერ, რაც იწვევს ლოკალურ ანთებით პასუხს და ხელს უწყობს აუტოიმუნური პროცესის განვითარებას (28) (62). მდედრობით სქესის ძუძუმწოვრებში ორი X ქრომოსომიდან ერთ-ერთი ინაქტივირებულია ადრეული ემბრიონული განვითარების პერიოდში. ქსოვილებში გვხვდება ამ ორი უჯრედული ხაზის მოზაიციზმი. ჩვეულებრივ, ამ ორი უჯრედული ხაზის თანაფარდობის სიხშირე არის 50:50. შესაბამისად, ერთი X ქრომოსომის აუტოანტიგენი არ ექსპრესირდება თიმუსში საკმარისად ან ვითარდება პერიფერიაზე ტოლერანტობის დარღვევა. X-დაკავშირებული ანტიგენის იმუნური ტოლერანტობის დაკარგვამ შესაძლოა

გამოიწვიოს აუტოიმუნურობა. სხვადასხვა კვლევა აჩვენებს ამ მიზეზით აუტოიმუნური თირეოიდიტის უპირატესად ქალებში განვითარებას (32).

ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადება გამოწვეულია Th1 და Th2 უჯრედებს შორის დისბალანსით. ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ Th1 უჯრედების მაღალი დონე, რომელიც გამოყოფს ციტოკინ IFN-γ-ს (119). მართლაც, IFN-γ -ს მაღალი და IL-4 -ის დაბალი პროდუქცია ხშირად გვხვდება ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში. ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტების ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილში ჭარბი Th1 უჯრედები ააქტიურებენ ციტოტოქსიურ ლიმფოციტებსა და მაკროფაგებს, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილზე და განაპირობებს ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების დაშლას. ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს ვლინდება დაზიანებული თიროიდული ფოლიკულები აპოპტოზური თიროციტებით (პიკნოზური ბირთვები, კონდენსირებული ციტოპლაზმა გადიდებული მიტოქონდრიით და ენდოპლაზმური ბადის ცისტერნებით). ხოლო CD4+T უჯრედების რაოდენობა ფარისებრი ჯირკვლის ინტერსტიციუმში შემცირებულია. T სუპრესორები/ციტოტოქსიური უჯრედები გროვდება ფოლიკულების დესტრუქციის ადგილას. ეს უბანი გარშემორტყმულია შემაერთებელი ქსოვილით (83). კვლევები აჩვენებს Th17 და T-მარეგულირებელი ლიმფოციტების მნიშვნელოვან როლზე აუტოიმუნური დარღვევის განვითარებაში. კვლევების მიხედვით, Th17 უჯრედების მიერ გამოყოფილი ციტოკინები მონაწილეობს აუტოიმუნური თირეოიდიტის განვითარებაში. IF-γ-ს და IF-17A-ს mRNA -ის ექსპრესია მნიშვნელოვნად მაღალია ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. Th17 უჯრედები წარმოადგენს CD4+ლიმფოციტების დაახლოებით 1 %-ს. ისინი IL-17-ის გარდა გამოყოფენ ციტოკინ IL-22-ს, რომელიც ასევე წარმოიქმნება Th22 უჯრედების მიერ. Th22 უჯრედების რაოდენობა მაღალია ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტების სისხლსა და ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილში. IL-22-ის სინთეზს ხელს უწყობს IL-6 და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი- α. ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში IL-22 -ის დონე კორელირებს TPO ანტისხეულების დონესთან, რაც ადასტურებს ამ ციტოკინის როლს ანტისხეულების სინთეზში (1). IL-21 არის პლეიოტროპული ციტოკინი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს Th17

უჯრედების განვითარებაში. მისი დონე მაღალია ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტების სისხლსა და ფარისებრ ჯირკვალში. ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში იდენტიფიცირებულია სხვა პროანთებითი კომპონენტებიც და მათთან ასოცირებული ციტოკინები (IL-18, IL-1 $\beta$ ), ასევე IFN- $\gamma$ , TNF  $\alpha$ -ს მატება, რომელმაც ხელი შეიძლება შეუწყოს სხვა ციტოკინების პროდუქციას და უჯრედების კვდომას.

T-reg უჯრედები ახდენენ აუტოიმუნურობის პრევენციას. არსებობს მათი სხვადასხვა ტიპი: (CD4+ CD25+ Foxp3+), რომელთა ფუნქციაც დარღვეულია ჰაშიმოტოს თირეოიდიტის დროს: CD4+ CD69+ Foxp- Tregs ფუნქცია დაქვეითებულია ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში (123).

D ვიტამინი კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს Th1, Th2, Th17 უჯრედების რეგულაციაში და IFN- $\gamma$ , IL-4, IL-17-ის სეკრეციაში. ამ მონაცემებით შესაძლოა აიხსნას თუ რატომ უწყობს ხელს D ვიტამინის დეფიციტი ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დარღვევის განვითარებას (84).

### ასოციაცია D ჰიპოვიტამინზეა და ჰაშიმოტოს თირეოიდიტს შორის

სხვადასხვა კვლევა მიუთითებს D ჰიპოვიტამინზეა და ჰაშიმოტოს თირეოიდიტს შორის შესაძლო ურთიერთკავშირზე (6) (23)(56) (60) (67) (77) (103)(112). მკვლევარებმა აღწერეს, რომ მომატებული anti-TPO-ს მქონე პაციენტებში უფრო დაბალი იყო 25(OH)D3-ის დონე (14) (101). აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტებში დაბალი D ვიტამინის და შესაბამისად თირეოიდულ ანტისხეულების ტიტრსა და D ვიტამინის უკუპროპორციულ დამოკიდებულების შესახებ მიიღეს შედეგები მკვლევარებმა უნალ.ა.-მ და სხვებმა (112).

სხვადასხვა კვლევა მიუთითებს, რომ D-ჰიპოვიტამინზის მქონე პირებში უფრო ხშირია anti-TPO-ს მომატებული დონე (23) (56) (59) (77) (96). ვიტამინი D-ს დეფიციტი და უკმარისობა მეტად იყო გამოხატული anti-TG პოზიტიურ პირებში და დაბალი 25(OH)D ასოცირებული იყო anti-TG-ის მატებასთან მდედრობითი სქესის პირებში (121). D ვიტამინის დაბალი დონე მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურობასა და დისფუნქციასთან კორეის პოპულაციაში, განსაკუთრებით პრემენოპაუზურ ქალებში (55). კვლევები მიუთითებს

VDR პოლიმორფიზმსა და ჰაშიმოტოს თირეოიდიტის განვითარებას შორის. VDR -ის ფუნქციის დარღვევამ, რაც განპირობებული შეიძლება იყოს VDR გენის პოლიმორფიზმით, შესაძლოა გავლენა იქონიოს D ვიტამინის იმუნორეგულატორულ და ანთების საწინააღმდეგო ფუნქციაზე და კორელაციაში იყოს აუტოიმუნური თირეოიდიტის პათოგენეზთან (36) (120).

ჰაშიმოტოს თირეოიდიტის დროს აუტოიმუნური პროცესის ზეგავლენით ვითარდება ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის მორფოლოგიური ცვლილებები, რაც მოიცავს ანთებითი უჯრედების მიერ პარენქიმის ინფილტრაციას, ფიბრობლასტების პროლიფერაციას, კალციფიკაციას, ვასკულურ პროლიფერაციასა და ფარისებრი ჯირკვლის მოცულობაში მატებას. ეს ცვლილებები წარმოადგენს ჰაშიმოტოს თირეოიდიტისთვის დამახასიათებელი ულტრასონოგრაფიული ნიშნების (ჰიპოექოგენურობა, ფსევდოკვანძები, არაჰომოგენური პარენქიმა) განვითარების საფუძველს (125). D ვიტამინი თავისი რეცეპტორის დახმარებით, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი ეფექტებით, გავლენას ახდენს უჯრედების პროლიფერაციაზე, დიფერენცირებაზე, აპოპტოზზე. კალციტრიოლი ზრდის ციკლინ -დამოკიდებული კინაზას ინჰიბიტორების ექსპრესიას, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს უჯრედების პროლიფერაციაზე. D ვიტამინი ასევე მოქმედებს მიკრო-რნმ-ის ექსპრესიაზე, რასაც ასევე ანტიპროლიფერაციული ეფექტი აქვს.  $1,25(\text{OH})_2\text{D}$  ასტიმულირებს პროაპოპტოზურ ცილებს, რითიც ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების აპოპტოზს (31) (33). კალციტრიოლი ამცირებს ანგიოგენეზს: ვასკულარული ენდოთელური ზრდის ფაქტორი (VEGF) მოიაზრება წამყვან პროანგიოგენეზურ ფაქტორად. არსებობს მონაცემები, რომ კალციტრიოლი თრგუნავს სიმსივნური წარმოშობის ენდოთელურ უჯრესებს; *in vivo* კვლევით VDR მოცილებულ თაგვებში იზრდებოდა VEGF (27).

ზოგიერთი კვლევის მიხედვით, კალციტრიოლის დაბალი დონე აღენიშნებოდათ ფარისებრი ჯირკვლის მაღალდიფერენცირებული კარცინომის მქონე პაციენტებს. ასევე, თირეოიდექტომიის წინ განსაზღვრული  $25(\text{OH})\text{D}$  უფრო დაბალი იყო იმ პაციენტებში, რომელთა სიმსივნის ზომა აღემატებოდა 1 სმ-ს და/ან აღენიშნებოდათ მეტასტაზები (31) (58) (95).

კალციტრიოლი ააქტიურებს ან თრგუნავს 500-მდე გენს, რაც წარმოადგენს ადამიანის გენომის 3%. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმუნური სისტემის

მარეგულირებელი გენები. ექსპერიმენტული კვლევებით დასტურდება  $1,25(\text{OH})_2\text{D}3$ -ის პირდაპირი დამცველობითი ეფექტი აუტოიმუნური ანთების განვითარებაზე T-ლიმფოციტებზე და დენდრიტულ უჯრედებზე გავლენით. სისხლში D ვიტამინის 5 ნგ/მლ-ით ზრდა ასოცირებული იყო აუტოიმუნური თირეოიდიტის და ჰიპოთირეოზის განვითარების რისკის 19%-ით შემცირებასთან (49) (68). ზოგიერთი ავტორის დასკვნით, D ვიტამინის დანამატების მიღება 12 კვირის განმავლობაში ჰიპოთირეოზის მქონე პირებში აუმჯობესებდა TSH-ის და კალციუმის დონეს, თუმცა გავლენა არ ჰქონდა შრატში T3, T4, ALP, PTH-სა და ალბუმინის დონეზე (107).

კვლევების მიხედვით, აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტებში D ვიტამინის დონის ნორმალიზება შესაბამისი დანამატების მიღებით აუმჯობესებდა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას და ანტისხეულების ტიტრს (22) (71).

ჩატარებული ზოგიერთი კვლევის მიხედვით, D ვიტამინის ღრმა დეფიციტის ( $<10$  ნგ/მლ) მქონე პაციენტების 60%-ს აღმოაჩნდა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, მაშინ როდესაც  $25(\text{OH})\text{D}3$ -ის ნორმალური დონის მქონე პაციენტების მხოლოდ 20 %-ს აღენიშნა ჰიპოთირეოზი (116).

თუმცა სხვადასხვა კვლევის შედეგები ურთიერთსაწინააღმდეგოა (78). მაგალითად, რ.გოსვამმა თანამკვლევარებთან ერთად დაადგინა მხოლოდ სუსტი ინვერსული კორელაცია სისხლში  $25(\text{OH})\text{D}$  დონესა და anti-TPO-ს ტიტრს შორის (39). მუსა ი.რ.-მ თანამკვლევარებთან ერთად ვერ ნახა ასოციაცია ქალებში  $25(\text{OH})\text{D}$  ვიტამინის დონესა და ჰიპოთირეოზის შორის (76). დაურიციო ფ.-მ თანამკვლევარებთან ერთად ვერ გამოავლინა D ვიტამინის დონეს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტების და ჯანმრთელი საკონტროლო ჯგუფის შედარებით (25). ტაილანდში ჩატარებული კვლევის მიხედვით, D ვიტამინის დონე არ იყო ასოცირებული anti-TPO და/ან anti-TG-ს მატებასთან (19). რამდენიმე კვლევის მიხედვით, D $3$  ვიტამინის მიღებას გავლენა არ ჰქონდა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურ და იმუნოლოგიურ მდგომარეობაზე (3) (61).

სხვადასხვა კვლევის შედეგით, აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე მამაკაცებში და პრე/პოსტმენოპაუზურ ქალებში D ვიტამინის დონის გამოკვლევისას აუტოიმუნურ თირეოიდიტსა და D ვიტამინის დაბალ დონეს შორის ასოციაცია

გამოვლინდა მხოლოდ პრემენოპაუზურ ქალებში, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ 17-ესტრადიოლი შესაძლოა დამცველობით როლს ასრულებს CYP24A1-ის ტრანსკრიპციის დათრგუნვით, VDR-ის ბიოსინთეზის ზრდით და DBP-ის T-ლიმფოციტებთან და მაკროფაგებთან შეკავშირების გამლიერებით (23) (113).

დიფუზური, კვანძოვანი ან მრავალკვანძოვანი ჩიყვი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენდოკრინული დაავადებებია. ფარისებრი ჯირკვლის კვანძების უმეტესობა ასიმპტომურია და ვლინდება შემთხვევით, ულტრაბგერითი გამოკვლევის დროს (92) (93). ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი წარმონაქმნები უფრო ხშირად გვხვდება ქალებში, თუმცა მამაკაცებში მისი აღმოჩენის შემთხვევაში მეტია მალიგნიზაციის რისკი (106). ულტრასონოგრაფიული კვლევისგან განსხვავებით, პალპაციით შესაძლებელია კვანძების მცირე პროცენტის გამოვლენა (41). კვანძოვანი/მრავალკვანძოვანი ჩიყვის განვითარებას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს: მაიონიზირებელი გამოსხივება, თამბაქოს და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, მეტაბოლური დარღვევები (129).

არსებული კვლევების ნაწილი მიუთითებს D ვიტამინის დეფიციტსა და ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურული ცვლილებების განვითარებას შორის შესაძლო კავშირზე: 25(OH)D3-ის მაღალი კონცენტრაცია ამცირებს უჯრედების პროლიფერაციას და გავლენას ახდენს აპოპტოზზე. ზოგიერთი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ შრატის 25(OH)D-ის დონე კვანძოვანი ჩიყვის მქონე პაციენტებში უფრო დაბალი იყო, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. შესაბამისად, D ვიტამინს შეიძლება დამცველობითი ეფექტი ჰქონდეს ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურული ცვლილებების საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი კვლევის თანახმად, 25(OH)D3 და ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი-1 (IGF-1) ნეგატიურ კორელაციაშია ფარისებრი ჯირკვალში კვანძების განვითარებასთან (29). D ვიტამინის უკმარისობა/დეფიციტი ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში შესაძლოა იწვევდეს ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმის სისხლმომარაგების შემცირებას და ზრდიდეს მიკროვასკულურ რეზისტენტობას (79). აღსანიშნავია, რომ D ვიტამინის ანტიპროლიფერაციული ეფექტის შესახებ კლინიკური კვლევების შედეგები ურთიერთსაწინააღმდეგოა (80).

## D ვიტამინის ნორმები და მისი მეტაბოლიტები

მოწოდებული ნორმები 25(OH)D-ს შესახებ განსხვავებულია. საქმე იმაშია, რომ რეკომენდაციები D ვიტამინის ნორმალური დონის შესახებ შეიცვალა ბოლო წლებში და უფრო მაღალი დონე იქნა მიჩნეული მისაღებ რაოდენობად. მაგალითად, 2010 წელს მედიცინის ინსტიტუტის (IOM) მიერ D ვიტამინის უფრო მეტად მაღალი დონის არასაკმარისად მიჩნეული სარგებლიანობის გამო, სისხლში 25(OH)D-ს დეფიციტად, უკმარისობად და ნორმალურ რაოდენობად განისაზღვრა  $<12$  ნგ/მლ (30 ნმოლ/ლ), 12–20 ნგ/მლ (30–50 ნმოლ/ლ) და 20–30 ნგ/მლ (50–75 ნმოლ/ლ)- შესაბამისად (18) (88).

აღნიშნულ დასკვნაში ხაზგასმულია კალციუმის და D ვიტამინის მნიშვნელოვანი როლი ძვლოვანი სისტემის ნორმალური მდგომარეობისთვის, ხოლო მათი სარგებლიანობა სხვა სისტემების მდგომარეობასა და დაავადებებზე, როგორიცაა სიმსივნე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, აუტოიმუნური დარღვევები- არ იქნა საკმარის მტკიცებულებად მიჩნეული. ძვლოვანი სისტემის ჯანმრთელობისთვის D ვიტამინის რეკომენდებულ დღიურ დოზად მიჩნეულ იქნა 1-70 წლამდე- 600 სე, ხოლო  $>71$  წ - 800 სე/დღეში, რაც საჭირო იყო 25(OH)D-ს 20 ნგ/მლ (50 ნმოლ/ლ) შესანარჩუნებლად და პასუხობს პოპულაციის 97.5% -ის მოთხოვნილებას (87).

2011 წელს აშშ-ის ენდოკრინულმა საზოგადოებამ სხვა სამეცნიერო საზოგადოებებთან ერთად აწია D ვიტამინის დეფიციტის, უკმარისობის და ნორმალური დონის ზემოთაღნიშნული ზღვრები  $<20$  ნგ/მლ (50 ნმოლ/ლ), 20-30 ნგ/მლ (50-75 ნმოლ/ლ) და 30-100 ნგ/მლ (75-250 ნმოლ/ლ)-შესაბამისად (46). აღნიშნული ეფუძნებოდა მონაცემებს ნაწლავებში კალციუმის შეწოვის გაზრდის და მოცირკულირე PTH -ის შემცირების შესახებ, რაც მიიღწეოდა 25(OH)D  $> 30$  ნგ/მლ (75 ნმოლ/ლ)-ს ზემოთ (18) (69). კვლევების მიხედვით, სიმსივნის პრევენციისთვის 25(OH)D-ს 36-48 ნგ/მლ ასოცირებული იყო უკეთეს გამოსავალთან. ძვლის მინერალური სიმკვრივის გასაუმჯობესებლად, კბილების სიჯანსაღისთვის, უეცარი დაცემის, მოტეხილობის, ჰიპერტენზიის რისკის შესამცირებლად უმჯობესი იყო 25(OH)D- $>30$  ნგ/მლ (9). ენდოკრინული საზოგადოების მიერ D ვიტამინის დღიური რეკომენდებული დოზა ზრდასრული მოსახლეობისთვის 1500-2000 სე-ს შეადგენს (82).

კლინიკური ლაბორატორიების უმეტესობა შრატში საზღვრავს 25(OH)D-ს, რაც წარმოადგენს 25(OH)D2-ის და 25 (OH)D3-ის ჯამს, თუმცა ცალკე არ ისაზღვრება 3-ეპი25(OH)D3-ის ან D ვიტამინის სხვა მეტაბოლიტების დონე. აღნიშნული ეპიმერის 25(OH)D3-ისგან განუცალკევობას შეიძლება 25(OH)D-ს გადაჭარბებული შეფასება მოჰყვეს და გამოიწვიოს მცდარი კლინიკური გადაწყვეტილების მიღება. 3-ეპი-25(OH)D3 აღმოაჩინეს ახალშობილებსა და ბავშვებში, რომელთაც გააჩნიათ მისი მაღალი კონცენტრაცია (ახალშობილებში 25(OH)D3 -ის 15-41%, ხოლო მოზრდილებში- 2.5-17%) (104). 3-ეპი -25(OH)D3 წარმოადგენს D ვიტამინის ძირითად ეპიმერს, განსხვავდება ჰიდროქსილის ჯგუფის პოზიციით. 3-ეპი -25 (OH) D3-ს ასევე შეუძლია 1-ალფა- ჰიდროქსილაზას დახმარებით 3-ეპი-1,25-(OH)<sub>2</sub>D3-ის წარმოქმნა, DBP-თან და VDR-თან დაკავშირება, ისევე როგორც, შეუძლია გენების ტრანსკრიფციის აქტივაცია. თუმცა 3-ეპი-25-(OH)D3 -ის და 3-ეპი -1,25-(OH)<sub>2</sub>D3-ის აფინურობა ორივე ცილასთან მნიშვნელოვნად დაბალია არაეპიმერულ ფორმებთან შედარებით. 3-ეპი -1,25-OH-D ეფექტურად თრგუნავს პარათჰორმონს (44).

D ვიტამინის ჭეშმარიტი სტატუსის დასადგენად საჭირო მეტაბოლიტების განსაზღვრა (1 $\alpha$ ,25(OH)<sub>2</sub>D3, 3-ეპი-25(OH)D3, 24,25(OH)<sub>2</sub>D3, D-ვიტამინ დამაკავშირებელი პროტეინი და თავისუფალი 25(OH)D3) სირთულეს წარმოადგენს ბევრი ლაბორატორიისთვის. შრატში 24,25(OH)<sub>2</sub>D -ის კონცენტრაცია 25(OH)D-ს 20% -ს შეიძლება შეადგენდეს. აღნიშნული ჯვარედინი რეაქტიულობა 25(OH)D-ს კონცენტრაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (100).

ტრადიციულად 24,25(OH)<sub>2</sub>D3 მოიაზრება როგორც 25(OH)Dს დეგრადაციის პირველი ეტაპი. ციტოქრომ P450 (CYP) 24A1 ფერმენტი გარდაქმნის 25(OH)D -ს 24,25(OH)<sub>2</sub>D3-ად, ასევე 1 $\alpha$ ,25(OH)<sub>2</sub>D3 -ს 1,24,25(OH)<sub>3</sub>D3-ად. 24,25(OH)<sub>2</sub>D3-ის კონცენტრაცია კორელაციაშია 25(OH)D3-თან და შეადგენს მის 7-15 %-ს. 24,25/25 ვიტამინ D3-ის შეფარდება ასახავს D ვიტამინის კატაბოლიზმს და 25(OH)D3 -ის პასუხს D ვიტამინის დანამატების მიღებაზე (118). ზოგიერთი დაავადების დროს, როგორიცაა მაგალითად, ღვიძლის ციროზი,- ცილის სინთეზი მცირდება. ამ დროს იზრდება თავისუფალი 25(OH)D-ს კონცენტრაცია. ორსულობის დროს კი, განსაკუთრებით მე-2 -მე-3 ტრიმესტრში, იზრდება DBP-ის დონე, რამაც შესაძლოა შეამციროს თავისუფალი 25(OH)D-ს დონე (98).

ლაბორატორიული კვლევის სტანდარტიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტი დიაგნოსტიკის და შესაბამისად, სამკურნალო რეკომენდაციების შემუშავებისთვის (8).

აშშ-ის ენდოკრინული საზოგადოების რეკომენდაციით, 25(OH)D-ს სკრინინგი მოწოდებულია ზოგიერთი დაავადების მქონე პაციენტებისთვის (46) (ცხრილი 1).

<b>რაქიტი</b>
ოსტეომალაცია
ოსტეოპოროზი
თირკმლის ქრონიკული დაავადება
ღვიძლის უკმარისობა
მალაბსორბციის სინდრომი (ცისტური ფიბროზი, ნაწლავის ანთებითი დაავადება, კრონის დაავადება, ბარიატრიული ოპერაცია, რადიაციული ენტერიტი)
<b>ჰიპერპარათირეოზი</b>
მედიკამენტები (ანტიკონვულსანტები, გლუკოკორტიკოიდები, აივ/შიდსის სამკურნალო პრეპარატები, სოკოს საწინააღმდეგო მედიკამენტები (მაგ:კეტოკონაზოლი), ქოლესტირამინი)
აფრო-ამერიკელი და ლათინოამერიკელი ბავშვები და ზრდასრულები
ორსული და მეძუძური ქალები
ხანდაზმულები წაქცევის ანამნეზით
ხანდაზმულები არატრავმული მოტეხილობის ანამნეზით
სიმსუქნის მქონე ბავშვები და ზრდასრულები ( სხეულის მასის ინდექსი $>30 \text{ კგ/მ}^2$ )
გრანულომატოზური დაავადებები (სარკოიდოზი, ტუბერკულოზი, ჰისტოპლაზმოზი, კოქციდიომიკოზი, ბერილიოზი)
<b>ზოგიერთი ლიმფომა</b>

ცხრილი 1: 25(OH)D -ს გაზომვის ჩვენებები (სკრინინგს დაქვემდებარებული კანდიდატები):

### 2.3. კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისთვის რეტროსპექტულად გაანალიზდა 18-70 წლის ასაკის პაციენტების მონაცემები, რომლებმაც 2018 ან 2019 წლის შუა გაზაფხულიდან შუა ზაფხულამდე პერიოდში მომართეს კლინიკა „კორტექს“ და „ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტს“.

რეტროსპექტულად, პაციენტების სამედიცინო ისტორიების საფუძველზე შეგროვდა მონაცემები.

შერჩევის კრიტერიუმები: ასაკი- 18-70 წლის პაციენტები, რომლებიც კლინიკაში ვიზიტამდე მინიმუმ ბოლო 1 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში.

გამორიცხვის კრიტერიუმები: ანამნეზში პირველადი ჰიპერპარათირეოზი, ჰიპოპარათირეოზი, ძვლის მეტაბოლური დაავადებები, ცენტრალური ჰიპოთირეოზი, ანამნეზში თირეოიდექტომია ან ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის რეზექცია, თირეოტოქსიკოზი, თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა, მალაბსორბციის სინდრომი, შაქრიანი დიაბეტი ტიპი1, სიმსუქნე, გრანულომატოზური დაავადებები, ანტიკონვულსანტებით მცურნალობა ეპილეფსიის გამო, ავთვისებიანი სიმსივნეები, იმუნოდეფიციტი, იმ მედიკამენტების ქრონიკული გამოყენება, რომელთაც შეეძლოთ თირეოიდულ ჰორმონებზე ან D ვიტამინის მეტაბოლიზმზე გავლენის მოხდენა, ორსულობა, ლაქტაცია, ბოლო 6 თვის განმავლობაში ლევოთიროქსინის, D ვიტამინის ან კალციუმის პრეპარატების მიღება.

შერჩეულ იქნა სულ 1295 პაციენტი. ყველა პაციენტს ჰქონდა ჩატარებული TSH -ის და D ვიტამინის ანალიზი. 1295 მონაწილედან, 866-ს ჰქონდა FT4-ის ანალიზი, 1263 შემთხვევაში განსაზღვრული იყო anti-TPO, 295 პაციენტში -anti- TG-ის ანალიზი. 262 პაციენტს ჩატარებული ჰქონდა ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა. მათგან 85 პაციენტს დადგენილი ჰქონდა კვანძოვანი/მრავალკვანძოვანი ჩიყვი. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური, იმუნოლოგიური ანალიზები, ვიტამინი D-ს განსაზღვრა და ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა თითოეული პაციენტის შემთხვევაში ჩატარებული იყო 1 კვირის განმავლობაში.

TSH, FT4, anti-TPO, anti-TG-ის განსაზღვრა ჩატარებული იყო ქემილუმინესცენციური იმუნოანალიზატორით, ხოლო D ვიტამინის გასაზომად გამოყენებული იყო ფლუორესცენტური ფერმენტული იმუნოანალიზატორი. აღნიშნული კვლევები შესრულებული იყო ლაბორატორიაში “Tosoh AIA-900-ზე.

სისხლში 25(OH)D -ს დონე  $\geq 30$  ნგ/მლ მიჩნეულ იქნა ნორმად, 20-29 ნგ/მლ- ვიტამინი D-ს დონე- უკმარისობად, ხოლო  $<20$  ნგ/მლ- განისაზღვრა როგორც D ვიტამინის დეფიციტი (46). შრატში anti-TPO  $>34$  IU/mL და /ან anti-TG  $>115$  IU/mL მიუთითებდა თირეოიდული ანტისხეულების მომატებულ ტიტრზე. TSH- ის ნორმად

მიჩნეული იყო 0.27–4.2 μIU/ml. ხოლო- FT4- 0.93–1.7 ნგ/დლ (ადგილობრივი ლაბორატორიული ნორმის მიხედვით).

ფარისებრი ჯირკვლის საერთო მოცულობა ქალებში  $>18$  სმ<sup>3</sup>, ხოლო მამაკაცებში  $>25$  სმ<sup>3</sup>- მიუთითებდა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზიაზე (48). TSH-ის მომატებული მნიშვნელობა გამოყენებულ იქნა პირველადი ჰიპოთირეოზის დიაგნოზის ვერიფიცირებისთვის, ხოლო მომატებული anti-TPO და/ან anti-TG-აუტოიმუნური თირეოიდიტის დასადასტურებლად.

სტატისტიკური ანალიზისთვის საკვლევი პოპულაციის მონაცემები გაანალიზდა როგორც მთლიანად საკვლევ ჯგუფში, ასევე სქესის მიხედვით, ხოლო მდედრობითი სქესის პაციენტების შემთხვევაში, ასაკობრივი ქვეჯგუფების მიხედვითაც (45 წლის ჩათვლით და მის ზემოთ).

მონაცემთა დამუშავება მოხდა სტატისტიკური პროგრამა SPSS 20-ის საშუალებით. თავდაპირველად მოხდა მონაცემების დაჯგუფება: TSH და D ვიტამინი (1295 პაციენტის ანალიზი), FT4 და D ვიტამინი (866 პაციენტი), anti-TPO და D ვიტამინი (1263 პაციენტი), anti-TG და D ვიტამინი (295 პაციენტი), anti-TPO, anti-TG და D ვიტამინი (262 პაციენტი). მონაცემების შედარებისას ცალკე მოხდა დაჯგუფება სქესის მიხედვით, აგრეთვე ცალკე ქვეჯგუფად დაიყო ქალები 18-45 წლის ჩათვლით და 45 წლის ზემოთ.


მონაცემების დაჯგუფების შემდეგ მოხდა მათი პროცენტული მაჩვენებლების შედარება D ვიტამინის ჯგუფებს შორის ( 20 ნგ/მლ- მდე- დეფიციტი, 20-30 ნგ/მლ- მდე- უკმარისობა, 30 ნგ/მლ და მეტი- ნორმა), რომლის სარწმუნოობა შეფასდა  $\chi^2$  ტესტით (Chi-Square Tests).

ჩატარდა აღწერითი ანალიზი D ვიტამინის იმავე ჯგუფებისთვის, რომლის სარწმუნოობა შეფასდა ANOVA ტესტით. P- <0.05 მიჩნეულ იქნა როგორც სტატისტიკურად სარწმუნო.

## 2.4. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი


1295 პაციენტიდან 1097 იყო ქალი (84.71 %), ხოლო 198- მამაკაცი (15.29%) (დიაგრამა 1). მდედრობით სქესის პაციენტებიდან 849 (77.39%) იყო 45 წლამდე, ხოლო 248 (22.61%)- >45 წ (დიაგრამა 2).

TSH და 25(OH)D განსაზღვრული იყო 1295 პაციენტში. მათგან TSH-ის მომატებული დონე გამოუვლინდა 141 -ს (10.89%), ხოლო დანარჩენ 1154 (89.11%) მონაწილეს TSH ნორმის ფარგლებში ჰქონდა.




დიაგრამა 1: პაციენტთა განაწილება სქესის მიხედვით

მდედრობით სქესის პაციენტების ასაკობრივი ქვეჯგუფები




დიაგრამა 2: მდედრობითი სქესის პაციენტების ასაკობრივი ქვეჯგუფები

- ) გამოვლინდა TSH-სა და D ვიტამინს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი ასოციაცია ( $p=0.008$ ) (დიაგრამა 3).




დიაგრამა 3 : TSH და D ვიტამინი

) სქესის მიხედვით განხილვისას ასევე გამოვლინდა TSH- ის სარწმუნო უარყოფითი ასოციაცია D ვიტამინთან ქალებში ( $p=0.01$ ) (დიაგრამა 4).



დიაგრამა 4 : TSH-ის და D ვიტამინის დონე ქალებში

გამოვლინდა TSH- სა და D ვიტამინს შორის სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი ასოციაცია 45 წლამდე ქალებში ( $P=0.036$ ) (დიაგრამა 5), თუმცა არ გამოვლინდა სარწმუნო მაჩვენებელი TSH- სა და D ვიტამინს შორის 45 წლის ზემოთ ქალების ასაკობრივ ჯგუფში ( $p=0.232$ )



დიაგრამა 5: TSH და D ვიტამინი ქალებში <=45 წ

არ გამოვლინდა TSH- სა და D ვიტამინს შორის სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი კაცებში( $p=0.465$ ) (ცხრილი 2).

	რაოდენობა	TSH	პაციენტების რაოდენობა	საშუალო Dვიტ.	P
პაციენტების რაოდენობა	1295	ნორმალური TSH	1154	17.2698	P=0.008
		მაღალი TSH	141	15.4889	
ქალები	1097	ნორმალური TSH	976	17.0603	P= 0.01
		მაღალი TSH	121	15.2198	
ქალები <=45 წ	849	ნორმალური TSH	768	17.2679	P=0.036
		მაღალი TSH	81	15.4319	
ქალები >45 წ	248	ნორმალური TSH	208	16.2936	P=0.232
		მაღალი TSH	40	14.7905	
კაცები	198	ნორმალური TSH	178	18.4185	P=0.465
		მაღალი TSH	20	17.1165	

ცხრილი 2: TSH და D ვიტამინი

) FT4- სა და D ვიტამინის დონის შედარებისას სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი არ გამოვლინდა მთლიან ჯგუფში ( $p=0.325$ ), ან სქესის მიხედვით შედარებისას ქალებსა ( $p=0.346$ ) და მამაკაცებში ( $p=0.695$ ). აგრეთვე არ გამოვლინდა FT4- სა და D ვიტამინს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

კავშირი ქალების ასაკობრივ ქვეჯგუფებში ( $p=0.616$   $\leq 45$  წ;  $p=0.448$   $>45$  წ)  
(ცხრილი 3).

	რაოდენობა	FT4	პაციენტების რაოდენობა	საშუალო Dვიტ.	P
პაციენტების რაოდენობა	866	ნორმალური FT4	822	17.1770	P=0.325
		დაბალი FT4	44		
ქალები	749	ნორმალური FT4	712	16.9731	P= 0.346
		დაბალი FT4	37	15.8351	
ქალები $\leq 45$ წ	546	ნორმალური FT4	524	17.1505	P=0.616
		დაბალი FT4	22	16,3577	
ქალები $>45$ წ	203	ნორმალური FT4	188	16.4785	P=0.448
		დაბალი FT4	15	15.0687	
კაცები	117	ნორმალური FT4	110	18.4971	P=0.695
		დაბალი FT4	7	17.39	


ცხრილი 3: FT4 და D ვიტამინი

) გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი ასოციაცია anti-TPO-სა და D ვიტამინს შორის მთლიან საკვლევ ჯგუფში ( $p=0.011$ ) (დიაგრამა 6).


) აგრეთვე გამოვლინდა სარწმუნო უარყოფითი ასოციაცია anti-TPO-სა და D ვიტამინს შორის ქალების მთლიან ჯგუფში ( $p=0.021$ ) (დიაგრამა 7) და 45 წ-მდე ქალების ასაკობრივ ქვეჯგუფში ( $p=0.044$ ) (დიაგრამა 8), თუმცა არ გამოვლინდა კავშირი anti-TPO-სა და D ვიტამინს შორის 45 წლის ზემოთ ქალებსა ( $p=0.374$ ) და კაცებში ( $p=0.882$ ) (ცხრილი 4).

	რაოდენობა	Anti-TPO	პაციენტების რაოდენობა	საშუალო Dვიტ	P
პაციენტების რაოდენობა	1263	ნორმალური anti-TPO	908	17.3127	P=0.011
		მაღალი anti-TPO	355	16.1355	
ქალები	1073	ნორმალური anti-TPO	743	17.1429	P= 0.021
		მაღალი anti-TPO	330	16.0063	
ქალები $\leq 45$ წ	831	ნორმალური anti-TPO	592	17.3224	P=0.044
		მაღალი anti-TPO	239	16.1721	
ქალები $>45$ წ	242	ნორმალური anti-TPO	151	16.4389	P=0.374
		მაღალი anti-TPO	91	15.5710	
კაცები	190	ნორმალური anti-TPO	165	18.0773	P=0.882
		მაღალი anti-TPO	25	17.8412	


ცხრილი 4: anti-TPO და D ვიტამინი



დიაგრამა 6: anti-TPO და D ვიტამინი



დიაგრამა 7: anti-TPO და D ვიტამინი ქალებში




დიაგრამა 8: anti-TPO და D ვიტამინი ქალებში  $<=45$  წ

- ) არ გამოვლინდა სარწმუნო ასოციაცია anti-TG -D ვიტამინს შორის მთლიან საკვლევ ჯგუფში ( $p=0.082$ ), ქალების ასაკობრივ ქვეჯგუფში 45 წლამდე და მის ზემოთ ( $p=0.086$ ) ( $p=0.220$ ), ასევე- კაცებში ( $p=0.338$ ) (ცხრილი 5).
- ) თუმცა გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია anti-TG -D ვიტამინს შორის ქალების მთლიან ჯგუფში ( $p=0.022$ ) (დიაგრამა 9).

	რაოდენობა	Anti-TG	პაციენტების რაოდენობა	საშუალო Dგიტ	P
პაციენტების რაოდენობა	295	ნორმალური anti-TG	194	19.8225	P=0.082
		მაღალი anti-TG	101	18.1015	
ქალები	243	ნორმალური anti-TG	152	20.1571	P= 0.022
		მაღალი anti-TG	91	17.7321	
ქალები <=45 წ	183	ნორმალური anti-TG	121	20.4066	P=0.086
		მაღალი anti-TG	62	18.3065	
	60	ნორმალური anti-TG	31	19.1832	P=0.22
		მაღალი anti-TG	29	16.5041	
კაცები	52	ნორმალური anti-TG	42	18.6114	P=0.338
		მაღალი anti-TG	10	21.4630	

ცხრილი 5: anti-TG და D გიტამინი




დიაგრამა 9: anti-TG და D ვიტამინი ქალებში

- )/ ორივე ანტისხეულის (Anti-TPO, anti-TG) და D ვიტამინის შედარებისას არ გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი მთლიან ჯგუფში ( $p=0.16$ ), ისევე როგორც მხოლოდ ქალთა ჯგუფში ( $p=0.093$ ) ან კაცების ჯგუფში ამ მონაცემების შედარებისას ( $p=0.681$ ). ასოციაცია არ გამოვლინდა ასევე ასაკობრივი დაყოფისას 45 წლამდე და მის ზემოთ ქალებში ( $p=0.095$ ) ( $p=0.717$ )
- )/ სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი ასოციაცია გამოვლინდა ულტრასონოგრაფიულად ფარისებრი ჯირკვლის ჰეტეროგენულ პარენქიმასა და D ვიტამინს შორის ქალებში ( $P=0.048$ ) (ცხრილი 6) (დიაგრამა 10). ხოლო ფარისებრი ჯირკვლის საერთო მოცულობასა და D ვიტამინის დონეს, ისევე როგორც ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობას და D ვიტამინს შორის ან დომინანტური კვანძის ზომასა და D ვიტამინის დონეს შორის არ

გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი (ცხრილი 7-13) (დიაგრამა 11-15).

	რაოდენობა	ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმა	პაციენტების რაოდენობა	საშუალო Dვიტ	P
პაციენტების რაოდენობა	262	ნორმალური	53	19.1728	P=0.123
		ჰეტეროგენული	209	17.3641	
ქალები	210	ნორმალური	36	19.3253	P=0.048
		ჰეტეროგენული	174	16.7316	
ქალები <=45 წ	171	ნორმალური	33	19.5245	P=0.055
		ჰეტეროგენული	138	16.8886	
ქალები >45 წ	39	ნორმალური	3	17.1333	P=0.829
		ჰეტეროგენული	36	16.1294	
კაცები	52	ნორმალური	17	18.8500	P=0.536
		ჰეტეროგენული	35	20.5086	

ცხრილი 6: ფარისებრი ჯირკვლის ჰეტეროგენული პარენქიმა და D ვიტამინი




დიაგრამა 10: ფარისებრი ჯირკვლის არაერთგვაროვანი პარენქიმა და D ვიტამინის დონე ქალებში

	რაოდენობა	ფარისებრი ჯირკვლის საერთო მოცულობა	პაციენტების რაოდენობა	საშუალო D3იტ	P
პაციენტების რაოდენობა	262	ნორმალური	225	17.8762	P=0.445
		გადიდებული	37	16.8405	
ქალები	210	ნორმალური	178	17.2846	P=0.607
		გადიდებული	32	16.5734	
ქალები <=45 წ	171	ნორმალური	146	17.3000	P=0.665
		გადიდებული	25	17.9656	
ქალები >45 წ	39	ნორმალური	32	17.2141	P=0.075
		გადიდებული	7	11.6014	
კაცები	52	ნორმალური	47	20.117	P=0.714
		გადიდებული	5	18.550	


ცხრილი 7: ფარისებრი ჯირკვლის საერთო მოცულობა და D ვიტამინი

		რაოდენობა	ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა	პაციენტების რაოდენობა	საშუალო D ვიტ.	P
პაციენტების რაოდენობა	85	<10მმ	54	18.0583	P=0.929	
		10-20 მმ	21	17.2657		
		>20 მმ	10	17.8110		
ქალები	72	<10მმ	45	17.048	P=0.853	
		10-20 მმ	18	16.1472		
		>20 მმ	9	17.6022		
ქალები <=45 წ	52	<10 მმ	34	17.4012	P=0.756	
		10-20 მმ	11	17.6800		
		>20 მმ	7	19.4886		
ქალები >45 წ	20	<10მმ	11	15.9564	P=0.647	
		10-20 მმ	7	13.7386		
		>20 მმ	2	11.0000		
კაცები	13	<10 მმ	9	23.1100	P=0.954	
		10-20 მმ	3	23.9767		
		>20 მმ	1	19.6900		


ცხრილი 8- ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი




დიაგრამა 11: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი  
(P=0.929)




დიაგრამა 12: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი  
ქალებში  
(P=0.853)



დიაგრამა 13: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი ქალებში <=45 წ  
(P=0.756)



დიაგრამა 14: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი ქალებში >45 წ  
(P=0.647)



დიაგრამა 15: ფარისებრი ჯირკვლის დომინანტური კვანძის ზომა და D ვიტამინი კაცებში  
 $(P=0.954)$

		ვიტამინი D			ჯამი
		დეფიციტი	უკმარისობა	ნორმა	
ფარისებრი	0	114	54	8	176
ჯირკვლის		66,7%	71,1%	57,1%	67,4%
კვანძების	1	28	12	2	42
რაოდენობა		16,4%	15,8%	14,3%	16,1%
	>1	29	10	4	43
		17,0%	13,2%	28,6%	16,5%
პაციენტების		171	76	14	261
რაოდენობა		100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 9- ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი

(P=0.699)

		ვიტამინი D			ჯამი
		დეფიციტი	უკმარისობა	ნორმა	
ფარისებრი	0	92	39	6	137
ჯირკვლის		64,8%	68,4%	60,0%	65,6%
კვანძების					
რაოდენობა	1	23	11	1	35
		16,2%	19,3%	10,0%	16,7%
	>1	27	7	3	37
		19,0%	12,3%	30,0%	17,7%
პაციენტების რაოდენობა		142	57	10	209
		100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 10: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი ქალებში

(P=0.629)

		ვიტამინი D			ჯამი
		დეფიციტი	უკმარისობა	ნორმა	
ფარისებრი	0	78	35	5	118
ჯირკვლის		69,0%	71,4%	62,5%	69,4%
კვანძების	1	15	9	1	25
რაოდენობა		13,3%	18,4%	12,5%	14,7%
	>1	20	5	2	27
		17,7%	10,2%	25,0%	15,9%
პაციენტების რაოდენობა		113	49	8	170
		100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 11: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი ქალებში  $\leq 45\text{nm}$  ( $P=0.669$ )


		ვიტამინი D			ჯამი
		დეფიციტი	უკმარისობა	ნორმა	
ფარისებრი	0	14	4	1	19
ჯირკვლის		48,3%	50,0%	50,0%	48,7%
კვანძების	1	8	2	0	10
რაოდენობა		27,6%	25,0%	0,0%	25,6%
	>1	7	2	1	10
		24,1%	25,0%	50,0%	25,6%
პაციენტების რაოდენობა		29	8	2	39
		100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 12: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინი ქალებში  $> 45\text{nm}$  ( $P=0.902$ )

		ვიტამინი D			ჯამი
		დეფიციტი	უკმარისობა	ნორმა	
ფარისებრი	0	22	15	2	39
ჯირკვლის		75,9%	78,9%	50,0%	75,0%
კვანძების					
რაოდენობა	1	5	1	1	7
		17,2%	5,3%	25,0%	13,5%
	>1	2	3	1	6
		6,9%	15,8%	25,0%	11,5%
პაციენტების რაოდენობა		29	19	4	52
		100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 13: ფარისებრი ჯირკვლის კვანძების რაოდენობა და D ვიტამინის კაცებში (P=0.479)


კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ 1295 პაციენტიდან 70.6 %-ს აღენიშნებოდა D ვიტამინის დეფიციტი, 24.1 %-ს- D ვიტამინის უკმარისობა და მხოლოდ 5.3 % -ს ჰქონდა ნორმალური D ვიტამინის დონე. მიღებული მონაცემები ძალზედ საყურადღებოა და ნათლად ასახავს D ვიტამინის დეფიციტის ფართოდ გავრცელებას საქართველოში, მიუხედავად მისი გეოგრაფიული მდებარეობისა (დიაგრამა 16).



დიაგრამა 16: D ვიტამინის დონე მთლიან ჯგუფში

D ვიტამინის დეფიციტი უფრო მეტად იყო გავრცელებული ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებში (78.7%) ეუთირეოიდულ პირებთან (69.6%) შედარებით (დიაგრამა 17-18).


ჰიპოთეზის მქონე პაციენტებში D ვიტამინის დონე



■ D ვიტამინის დეფიციტი ■ D ვიტამინის უკმარისობა ■ D ვიტამინის ნორმალური დონე

დიაგრამა 17: ჰიპოთეზის მქონე პაციენტებში D ვიტამინის დონე


ეუთირეოიდულ პირებში D ვიტამინის დონე



■ D ვიტამინის დეფიციტი ■ D ვიტამინის უკმარისობა ■ D ვიტამინის ნორმალური დონე

დიაგრამა 18: ეუთირეოიდულ პირებში D ვიტამინის დონე


D ვიტამინის ნორმალური დონე ასევე ნაკლებად გვხვდებოდა პირველადი ჰიპოთირეოზის მქონე მდედრობითი სქესის პაციენტებში (2.8%) ეუთირეოიდულ პირებთან შედარებით (5.6%) (დიაგრამა 19).



დიაგრამა 19: ეუთირეოზის და ჰიპოთირეოზის მქონე ქალების მთლიან ჯგუფში D ვიტამინის დონე

აღნიშნული შედეგები ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას, რომ არსებობს უარყოფითი ასოციაცია TSH-ის მატებასა და D ვიტამინის დონეს შორის. შესაბამისად, პირველადი ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ D ვიტამინის უფრო დაბალი დონე ეუთირეოიდულ პირებთან შედარებით.


შეგროვილი მონაცემებიდან 1263 პაციენტში განსაზღვრული იყო anti-TPO და D ვიტამინი. D ვიტამინის დეფიციტი უფრო გავრცელებული იყო მომატებული anti-TPO-ს მქონე პირებში (75.0% და 69.7% შესაბამისად) (დიაგრამა 20).



დიაგრამა 20: ნორმის ფარგლებში და მომატებული anti-TPO-ს მქონე პაციენტებში D  
ვიტამინის დონე

Anti-TPO-სა და D ვიტამინს შორის უარყოფითი ასოციაცია გამოვლინდა მდედრობითი სქესის პირებში და 45 წლამდე ქალების ასაკობრივ ქვეჯგუფშიც.

Anti-TG-სა და D ვიტამინს შორის უარყოფითი ასოციაცია გამოვლინდა მდედრობითი სქესის მთლიან ჯგუფში (დიაგრამა 21).



დიაგრამა 21: ნორმის ფარგლებში და მომატებული anti-TG-ის მქონე ქალებში D  
ვიტამინის დონე

